პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი შაბათი 31 იანვარი № 26 (17968) ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა სკკპ XXVI ყრილობის დელეგატზე

ათი სიცოცხლე რომ ჰქონოდა...

სამამულო ომის წლებში დაიბადა. ჩვილი დაობლდა — მამა ფრონტზე დაეღუპა ერთი წლისას; მარტოხელა ქალის ნაღვენარევ ზრუნვაში გაიზარდა ფრთები, ნაბიჯი მოხიბჭა, ადრე შეიცნო დიდი ცხოვრება. მერე ნელ-ნელა გამრავალფეროვნდა მისი გზასავალი. იყო შრომა (თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანებაში), სწავლა (თბილისის მუშა ახალგაზრდობის 23-ე საშუალო სკოლაში), პირველი სიახლოვე დიდ კოლექტივთან, ბავშვობაში გულუბრყვილოდ შეცნობილ დირებულებათა უნებლიე გადაფასება, ხუთვალი — ყველაფერი მისი შექმნილი საუკეთესო ყოფილიყო.

ეს მისი ქალაშვილობის ხანა იყო, ყველაზე ბედნიერი, ყველაზე ლამაზი ხანი.

ხაზოგადოებრივმა საქმიანობამ იმთავითვე გაიტაცა და ხულ მალე ფაბრიკაში ნინო პანკოვას მხოლოდ ქალის თნელ წინდებზე გავლებული უნადო, ფაქიზი გვირისტით როდი იცნობდნენ, არამედ მისი აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებითაც.

დიახ, ნინო წლების მანძილზე აღიარებდნენ გაერთიანების კომკავშირის კომიტეტის საუკეთესო, ყველაზე საინტერესოდ მომუშავე, ენერგიულ წევრად. ეს გარემოებაც იქცა, უთუოდ, ერთ-ერთ მიზეზად იმისა, რომ მაშინ კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრადაც აერჩიათ.

შემდეგ კომუნისტური პარტიის რიგებში მიღება, ოჯახის შექმნა... შვილები — ქალის სიხარულისა და ოცნების ქვაკუთხედი...

1968 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობაზე — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. შემდეგ კვლავ დიდი სიხარული — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩევა...

ყველაფერ ამას, ერთად აღებულს, ბიოგრაფია ჰქვია. რამდენის მომცველია ეს ერთი სიტყვა, რამდენ ადამიანურ ტკივილს და სიხარულს იტევს. ერთი მნიშვნელოვანი მოვლენით, ერთი სიხარულით კიდევ შეიგნო მისი ბიოგრაფია ამ დღეებში — სკკპ XXVI ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანება „კრწანისი" — ეს ვეებერთელა საწარმო ყოველდღიურად დიდ სამუშაოს ასრულებს. სამკერვალო საამქროს ის ბრიგადა, სადაც მემოტორე მკერავი ნინო პანკოვა მუშაობს, მისი ერთი პატარა რგოლია. სამოცი ქალია ამ ბრიგადაში. სამოცი სხვადასხვა განწყობილება, სხვადასხვაგვარი ფიქრები, განსხვავებული ხასიათები. იშვიათად თუ ნახავთ ამ ქალებში ისეთს, ნინოს უშრეველი სითბო და უშუალობა რომ არ გასწვდენოდეს, მისი სიხარული რომ სიცილივით არ გადასდებოდეს, მისებური უხინჯო, დაუყვედრებელი ხელის გამართვა არ გამოეცადოს, მისი თანაგრძნობიანი, მარილიანი რუსულ-ქართულით არ მოეპანოს გულის ჭრილობა.

მარტო კეთილგანწყობას ვერ უწოდებ ამ დამოკიდებულებას, რომელიც ამ სიმპათიურ, ქერა, მოწნავე მკერავ ქალზე საუბრისას საამქროს უფროსის ზაირა მაზმიშვილისა და ბრიგადირის ლეილა ენუქიძის თვალებში იკითხება. ეს მარტო დალოცვილი გამრჯეობის, მარჯვე ხელის წყალობა კი არა, უფრო გამგები, მომსმენი, გამზიარებელი გულის წყალობა და მადლია.

აი, თუნდაც, ნუნუკა მოდებაძე, აი ის, ამ ერთი წლის წინ ბედნიერი პატარა ოჯახი რომ გაიჩინა. სამეიოდ წელია, რაც წარმოებაში მოვიდა, მოსვლისთანავე მკერავ-მეგვირისტობა მოისურვა. მოწაფედ ნინოს მიებარა. ამ არჩევანს დღესაც ნინოს გულღია ბასიათსა და იმ დალოცვილ ოპტიმიზმს „აბრალებენ", არაერთი ქალიშვილი რომ დაეყენა მის კვალზე. მალე დამეგობრდნენ მოწაფე და მოძღვარი, ახლაც გვერდ-გვერდ შრომობენ. აქაც ხომ ხულ ერთად არიან და დასვენების დღეებშიც ხშირად ნახავთ მათ ოჯახებს ერთად.

მონოტონურად ღუღუნებს საკერავი მანქანა. ლამაზი გვირისტით გამოირჩევა უკვე მზა პროდუქციად ქცეული ქალის წინდები და რეტუშები. თანდათან უფრო საგრძნობი ხდება ზეგეგმითი პროდუქციის მოკვარება — ხუთწლედი ოთხ წელიწადში დაამთავრა, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის ორი თვის დაკალება შეასრულა და ახე წავიდა ყრილობაზე.

კმაყოფილი თუ არის თავისი ცხოვრებით? არა, კმაყოფილება ის სიტყვა არ არის, მისი ცხოვრების წესს რომ მიეხადაგება. ბედნიერებაც მეტისმეტად ზოგადი ცნებაა. ეს კია, საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი მუდამ გრძნობს უბრალო, მარტივ ჭეშმარიტებას: ათი სიცოცხლე რომ ჰქონოდა, ათივეს ამგვარად გალევდა ახე, ყოველდღიურ შრომასა და ცხოვრების ავ-კარგში ჩაბმული, ახე მადლისა და სიკეთის თესვაში.

ნ. ხარაზიშვილი.

სურათზე: სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი ნ. პანკოვა.

ბალავარი სოფლის აღმასვლისა

საქართველოს კომუნისტთა ოცდამეექვსე ყრილობამ თვალნათლივ გვიჩვენა, თუ რა შეხძლებია საერთო საქმისათვის ენერგიულ, თავდადებულ და პატიოსან შრომას, თუ როგორ ავმაღლდით ალალი გარჯით, საქვეყნოდ როგორ დაფასდა სამშობლოს საკეთილდღეოდ გაწეული შრომა. ყოველივე ამას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებასა და ყრილობაზე გამომსჯელთა სიტყვებში მოყვანილი მრავალი ფაქტი ნათლად მეტყველებს. ამ ყრილობაზე შეჯამდა განვლილ ხუთწლეულში პარტიულ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მუშაობის შედეგები, რომლებიც საქვეყნოდ საამაყო და ფრთაშემსხმელია.

არ შეიძლება ხაზი არ გაესვას რეპუბლიკის სოფლის მშრომელების იმ გრანდიოზულ წარმატებებს, რომლებიც, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, მეათე ხუთწლედში დალაშქრული იქნა. დიახ, სოფელი აღმასვლით მიდის, ვითარდება და ძლიერდება. ამის ნათელი დადასტურება იყო მეათე ხუთწლედის მეხუთე წლის შემოდგომაზე ჩვენს დედაქალაქში გამართული „თბილისელ-ქალობა", რომელსაც შნოსა და ლაზათს ჩვენი სოფელი და სოფლელი კაცის გარჯის ნაყოფიც მატებდა.

მაგრამ რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს წარმატება, ის, რასაც მივაღწიეთ, დღეს აღარ გვაკმაყოფილებს. სამრეწველო უფრო მეტს ვფიგმავთ, რადგან ცხოვრება ახე მოითხოვს, რადგან ჩვენი ყოფაცხოვრება, რაც დრო გადის უფრო ვითარდება. განვითარებული და ხვებედნიერი ადამიანების მოთხოვნილება კი, როგორც ვიცით, მატულობს და უფრო მეტი რომ გვქონდეს, უფრო და უფრო უნდა გავიხარჯოთ. სწორედ ამას მოგვიწოდებს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები, სწორედ ეს არის გათვალისწინებული ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნებულ საქართველოს სსრ მშრომელთა 1981 წლის სოციალისტურ ვალდებულებებში.

ამ ვალდებულებების მიხედვით სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წელს სახელმწიფოს უნდა მიაყიდონ: მარცვლეული — 172 ათასი ტონა, კარტოფილი — 175 ათასი ტონა, ბოსტნეული — 333 ათასი ტონა, ხილი — 430 ათასი ტონა, შაქრის ჭარხალი — 120 ათასი ტონა, ბალჩეული — 16 ათასი ტონა, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 450 ათასი ტონა, ყურძენი — 730 ათასი ტონა, ციტრუსი — 180 ათასი ტონა, ხორცი — 148 ათასი ტონა, რძე — 283 ათასი ტონა, კვერცხი — 477 მილიონი ცალი, მატყლი — 5,6 ათასი ტონა.

ამ დიდმნიშვნელოვანი ვალდებულებების შესასრულებლად ერთიანად უნდა დაინაზომნ სახოფლო რაიკომებისა და რაისაბჭოს ალმასკომების, სოფლის მეურნეობის მუშაკები, საზოგადოებრივ მეურნეობათა კომუნისტები, სოფლის ყველა მშრომელი. მეათე ხუთწლედში აღებული ტემპი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეკანონდეს, პირიქით — სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და შეჯიბრების ქმედითობის ახალ-ახალი ფორმების დანერგვით შრომის ტემპი უფრო უნდა გაკაძლიერთო, რათა ახალი ძალაური გაჩანაგა მიეცეს საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებას!

წინა ხუთწლედში საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობასა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე მსჯელობა იყო ჩვენი სოფლის მეურნეობის დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე და მიღებულ იქნა საქმიანი დადგენილებანი ჩვენი სოფლის მეურნეობის აღმასვლისათვის, რომლებსაც შემდგომ ხორცი შეეხსა. სწორედ ამასწინ ხუთწლედში განისაზღვრა საქართველოს სახოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის გზები და ფორმები, 1978 წლის მეცხრე პლენუმმა, ადგილობრივი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, მეცნიერულად დაასაბუთა ექსპერიმენტები, რომლებიც ჩვენს რეგიონებში ხორციელდება რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი დარგების მართვის ხარგანიზაციო ფორმების სრულყოფისათვის.

საქართველოს კომუნისტთა ოცდამეექვსე ყრილობაზე აღინიშნა, რომ ექსპერიმენტის წესით რესპუბლიკაში შეიქმნა ამაშის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველო, რესპუბლიკური აგროსულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი სისტემა. გამეფდა ითქვა, და ამათანადოდ დასაბუთდა კიდეც რომ საჭიროა ამ სიახლეთა შემდგომი განვითარება. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ სოფლის მეურნეობის მართვის ხარგანიზაციო ფორმების სრულყოფის საზი, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამორციელებს, სწორია!

მეათე ხუთწლედში, აღინიშნა ყრილობაზე, რესპუბლიკის სახოფლო-სამეურნეო წარმოების განმსაზღვრელი ტენდენცია იყო სწორედ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დაჩქარებული განვითარება საზოგადოებრივ მეურნეობებში და იგი უთუოდ მეოერთმეტე ხუთწლედსა და მომდევნო პერიოდშიც უნდა შევინარჩუნოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სწრაფი ტემპი, რომელიც მეათე ხუთწლედში ავიღეთ, მომავალში არა მარტო უნდა გაგრძელდეს, არამედ შემოქმედებითადაც განვითარდეს. ასეთი სწრაფი ტემპის შედეგი იყო, რომ ამაშან ჩვენი სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ყურძნისა და ჩაის ფოთლის რეკორდული მოსავალი მოიწიეს და სახელმწიფოს მიაყიდეს 800 ათას ტონაზე მეტი ყურძენი და 502 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს მემინდვრეებმა, მეკარტოფილეებმა, მებოსტნეებმა, მეხილეებმა, მეცხოველეებმა. საამაყოა, რომ სოფლის მშრომელები სისტემატურად ასრულებენ საერთო-საკავშირო ბახურსათო ფონდისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდების პასუხსაგებ დავალებებს. ისიც აღსანიშნავია, რომ სახოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა სულ უფრო მაღლდება, მცირდება მთელი რიგი პროდუქტების თვითღირებულება, ზარალიანი მეურნეობების რიცხვი თანდათან კლებულობს, რენტაბელობა იზრდება და მატულობს კოლმეურნეთა და მეურნეობების მუშათა შრომის ანაზღაურება. და რაოდენ სასამაყოა, რომ „პირველად, ბოლო 20 წლის მანძილზე, მიღწეულია ფონდუკუნების გადიდება".

საქართველოს კომუნისტთა ფორუმზე აღინიშნა და ყველა მშრომელის გულს სიხარულით ალავსებს ის ფაქტი, რომ სწორი იყო რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის პოზიცია, რომელმაც ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმზე მიიღო ფუნდამენტური გადაწყვეტილებანი რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების შესახებ. პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ: ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებანი რომ არ ყოფილიყო, რესპუბლიკას უფრო სერიოზული სიძნელეები ექნებოდა მეცხოველეობის პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმეში.

ამ პრინციპულმა გადაწყვეტილებებმა შემოქმედებითი ატმოსფერო შეუქმნა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ახალი გზების ძიებას. ამ საქმეში საიმედო მოკავშირე აღმოჩნდა ეკონომიკური ურთიერთობის ისეთი ფორმა, როგორიც არის საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერაცია საკარმიდამო მეურნეობებთან. ამ ფორმებს უნარიანად იყენებენ ახაშს, მახარაძეს, სამტრედიის, გარდაბნის, თერჯოლის რაიონები, რესპუბლიკის გაერთიანება „საქფრინველმრეწი". საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლისავნე კოოპერირების ეს ფორმა მთელ რესპუბლიკაში, ყველა რაიონსა და სოფელში გავრცელდეს. ასევე დიდი გაკანება უნდა მიეცეს პირად დამხმარე მეურნეობებში პირუტყვის სულადობის გადიდების ტენდენციას.

ახალი, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი დაიწყო. ახლა, სწორედ ამოავითვე უნდა ავიღოთ შრომის სწრაფი ტემპი, ისე რომ ეროვნა წლის ტემპს საგრძნობლად ვუსწრებდეთ. მალე გაზაფხული მოვა, საჭიროა მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებას, უამინდობით — ვვალვით გამოწვეული ნაკლოვანებანი სახალხო შრომით, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვით უნდა დავძლიოთ. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ჩინებულად გამოვაზამთროთ პირუტყვი, შევინარჩუნოთ მისი მაღალპროდუქტიულობა. ამასთან საგაზაფხულო სამუშაოები მაღალხარისხოვნად უნდა შეასრულოთ მინდვრად, ბალ-ვენახებსა და პლანტაციებში, ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ მეოერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი იყოს ის ტაეიც საფუძველი, რომელიც 1981-1985 და მომდევნო წლების ამოცანებების წარმატებით შესრულების ბალავარს დაუდებს სოფლის მეურნეობას.

მხოლოდ წინ, მხოლოდ აღმასვლა, სოფლის მშრომელებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებსა... აღფრთოვანებენ კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, რომ კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, განამტკიცებენ მათი ხუთწლედში მილწეულ შედეგებს და ლენინური პარტიის XXVI ყრილობას, მთლიანად 1981 წელს, აღნიშნავენ მაღალი მილწევებით კომუნისტურ მშენებლობაში.

საქართველოს სსრ მშრომელთა 1981 წლის სოციალისტური ვალდებულებებიდან.

ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXVI ყრილობას!

ლოკომოტივი — საყრილობო ნობათი

ასეთია ელმავალმშენებელთა გადაწყვეტილება

ყრილობის მუშაობის ყოველი დღის დამთავრების შემდეგ სამსახურში რეკავდა, საქმის მსვლელობის ამბავს იკითხავდა ხოლმე, და როცა პასუხს მოისმენდა, ოდნავ მშვიდდებოდა. ხანდახან, საღამოობით ამხანაგებიც ეწვეოდნენ შინ და ამხვევდნენ, არაფერზე იდარდო, ჩვენთან ყველაფერი რიგზეაო. იცოდა, განა არ იცოდა გურამ მეტონიძემ — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენ ელექტრომემონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა, რომ თავისი კოლექტივი მას არ დაალალატებდა, მაგრამ მაინც ვერ ისვენებდა. ბუნებით ასეთიაო, გვითხრეს, და 45 წლის კაცს ხომ ვერ გამოცვლიო.

პარტიის ფორუმიდან დაბრუნებულ დელეგატს ქარხნის შესასვლელთან ასობით მუშა შეიკვეთა. აქ იყვნენ უკლებლივ, ცხადია, მისი ბრიგადის წევრებიც და მათ შორის მისი უმცროსი ვაჟი, ამავე ბრიგადის მემონტაჟე დავითი. სხვათა შორის, აქვე დასძენთ, რომ ბრიგადის ერთ-ერთ საუკეთესო მემონტაჟეს, გურამ მეტონიძის უფროს ვაჟს არჩილს, რომელიც სამოდე თვის წინ გაუწვევიათ ჯარში, დაუბარებია, ადგილი შემინახეთო.

დიახ, დელეგატს ყველა ხელს არიმეედა, ეხვეოდა, ყრილობის მსვლელობის ამბებს ეკითხებოდა. ნეტავ იცოდეთ, რა გაიხარა გურამმა როცა შეატყობინეს, ბრიგადა ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებდაო, არც ერთი წუნი, არც ერთი დაგვიანება და სამუშაოს გაცდენის შემთხვევა არ ყოფილაო.

სამუშაო დროის დაწყებას ოცი წუთი აკლდა. შესახვედრად მოსულებს უთხრა, ყრილობის შესახებ მოგვიანებით მოგახსენებთო. და ბრიგადის წევრებითურთ საამქროს მიაშურა, ყველანი გარშემო შემოიკრიბა და რაღაც „საიდუმლო" გაანდო. თუმცა, ამ საიდუმლოებას რამდენიმე საათის სიცოცხლე ეწერა. როცა შესვენებაზე ქარხნის ყველა საამქროს, უბნის, ბრიგადის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი, აი რა განაცხადა გურამ მეტონიძემ:

— საქართველოს XXVI ყრილობაზე დელეგატთა არნახული ერთიანობის სულისკვეთება სუფევდა. ეს იყო მშობლიური პარტიის იდეების განხორციელებისათვის რესპუბლიკის კომუნისტების დარაზმულობის უდაო დემონსტრაცია. ყრილობამ ჩვენ ხალხს, ეკონომიკას, მრეწველობას და კერძოდ ელმავალმშენებლებს დიდი ამოცანები დაუსახა და ჩვენ მათ მთლიანად გადავწყვეტთ. ჩვენი ქარხნის კოლექტივს დიდი პატივი დასდეს — მე სკკპ XXVI ყრილობის დელეგატად ამირჩიეს. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ მისი თავდადებული შრომის გარეშე ჩემი ასეთი აღიარება შეუძლებელი იქნებოდა. გთხოვთ ჩათვალოთ, რომ საბჭოთა კავშირის

დელეგატის ინიციატივით

თწლედის ელმავლების გამოშვების გეგმა ძაღზე დაძაბულია, მაგრამ ყველას სჯერა, რომ უბანი, რომელსაც გურამ მეტონიძე ხელმძღვანელობს, სიტყვას არ გატეხს. სულ სამი თვეა, რაც იგი სამრეწველო ელმავლების დამამზადებელ ახალ კომპლექსურ ბრიგადას ჩაუდგა სათავეში და მოწინავეთა რიგებში ჩაყენა.

გადამწყვეტ უბნად ქარხანაში მაინც წარმოების ის რგოლი ითვლება, რომელიც მაგისტრალურ ელმავლებს ამზადებს. დამკვეთისათვის ასეთი ლოკომოტივების შეუფერხებელ მიწოდებას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ენიჭება. საბჭოთა კავშირის რკინიგზის ტრანსპორტის გამართული მუშაობა ცოტათი როდი იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეძლებენ თბილისელი ელმავალმშენებლები მეთერთმეტე ხუთწლედის მკვეთრად გაზრდილი გეგმის მიხედვით მაგისტრალური ლოკომოტივების რიტმულად გამოშვებას. ასეთ პირობებში ქარხანას ჰაერივით სჭირდება გურამ მეტონიძის ხალასი ნიჭი, მისი მუშური უნივერსალობა, საქმის საოცარი ერთგულება. ჰოდა, არც ამ საქმეს გაუდგება იგი განზე. გადაწყვეტილება მიღებული აქვს: სკკპ XXVI ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ მაგისტრალური ელმავლების დამამზადებელ პირველ კომპლექსურ ბრიგადას ჩამოაყალიბებს და სათავეშიც ჩაუდგება. მანამდე კი თავის ახლანდელ კოლექტივს უხელმძღვანელებს, უფრო მყარად დააყენებს მას ფეხზე და თავის საამედო შემცვლელსაც გამონახავს.

გურამ მეტონიძის ბრიგადას, რომელმაც გადაწყვიტა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა სკკპ XXVI ყრილობის გახსნამდე შეასრულოს, ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა საამწყობო, მექანიკურ, საელექტრომენტო, ელექტროშესადუღებელ, ელექტროსარემონტო და სხვა საამქროებში.

Ш. ამაშუკელი.

სურათზე: სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი გ. მეტონიძე (მარცხნიდან მესამე). თავის ბრიგადის წევრებთან.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ღუმელის დამონტაჟება დაიწყო

ვაკაზე ოთხი დღით ადრე დამთავრდა სადემონტაჟო სამუშაოები რუსთავის მეტალურგიული ქარხნის № 2 ბრძმედზე, რომლის რეკონსტრუქციი მიმდინარეობს. დემონტაჟის დამამთავრებელ ეტაპზე თავი გამოიჩინეს კოლექტივებმა, რომლებსაც მეთაურობენ სამუშაოთა მწარმოებლები ვ. საკოვი და ი. ლომოვი, აგრეთვე ი. ბელიაევის, კ. ფაშაევის, ვ. ბოტოვის, გ. მენთეშაშვილის, ი. პრონინისა და სხვა ბრიგადებმა.

მემონტაჟეებმა, მშენებლებმა, ელექტრიკოსებმა და ზეინკლებმა სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად იკისრეს ვალდებულება ბრძმედის რეკონსტრუქცია დაამთავრონ ვადაზე ათი დღით ადრე.

დაიწყო ახალი ღუმელის დამონტაჟება, რომელიც აგრეთვე დამკვრელური ტემპით მიმდინარეობს.

კვარტლის მეგმა — ვადამდე

ჯანდარის მსხვილფეხა-რქიანი პირუტყვის სასუქებელი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი, რომელიც ჩაება მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვალდებულება იკისრა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის შეესრულებინა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის 1981 წლის 1 კვარტალის გეგმა.

21 იანვარს ეს ვალდებულება დიდი გადაჭარბებით შესრულდა. (საქინფორმი).



ინფორმაციის „ქოსმოს-1242"

საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1242".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდისი).

მზად არის თუ არა ტექნიკა სამაზავხულოდ?

„კომუნისტის" რეიდი

ჯავახეთის ზეგანზე წელს თოვლი რიგიანად არც კი მოსულა. მხოლოდ მთები ჩამოთოვა. აქაურები ფიქრობენ, რომ გაზაფხული ადრე ესტუმრებათ, ამიტომ მხვნელ-მთესველები უნდა აჩქარდნენ.

ახალქალაქის რაიონში წელს 10.400 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები უნდა დაითესოს, მათ შორის კარტოფილი — 3.200 ჰექტარი. თესვის დროულად დაწყება-დამთავრება, სამუშაოს ხარისხიანად შესრულება და მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის უხვი მოსავლისათვის მტკიცე საფუძვლის ჩაყრა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოემზადებიან აქაური მექანიზატორები საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის.

რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა მ. ალელიშვილმა თქვა:

— წლევანდელი საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის ჩვენმა მექანიზატორებმა ტექნიკის მომზადება ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე დაიწყეს. ისინი მზრალად ხვნას და მანქანების შეკეთებას მაშინვე შეუდგნენ. მეოთხე კვარტალში ნაცვლად სამოცდაათი ტრაქტორისა სამოცდათოთხმეტი შეაკეთეს. რემონტი ახლაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ამ საქმეს ემსახურება „საქსახსოფლტექნიკისა" და საზოგადოებრივ მეურნეობათა სარემონტო სახელოსნები. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მხრივ შარშანდელთან შედარებით წელს უკეთესი მდგომარეობაა. ტექნიკის რემონტის გეგმას სკკპ XXVI ყრილობის დღისათვის შეასრულებთ და მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ გაზაფხულზე გამართული მანქანებით გავალთ სამუშაოდ. ეს სამმართველოს უფროსმა თქვა, მაგრამ ნათქვამია — გაგონილს თვალით ნახანი სჯობიაო.

რეიდის მონაწილენი პირველად „საქსახსოფლტექნიკის" ახალქალაქის საწარმოო გაერთიანებას ვესტუმრეთ.

გარეთ ყინავდა, მათ სახელოსნოში კი, სადაც ერთდროულად სხვადასხვა მარკის ოცამდე ტრაქტორი იდგა შესაკეთებლად, იდაყვებამდე მკლავდაკაბიწებულ შემკეთებლებს სახეზე ოფლი ჩამოსდიოდათ. მართლაც რომ, გაცხარებული მუშაობდნენ. პირველ კვარტალში აქ 42 ტრაქტორი უნდა შეაკეთონ.

ნახევრად დაშლილ „დტ-75"-ს თავს მხარბეჭიანი კაცი დასტრიალებს. ეს ერვანდ ბასენციანია — თოთხმის კოლმეურნეობის მექანიზატორი, პარტიის ახალქალაქის რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრი.

— თქვენც აქა ხართ?

— აბა შინ რა გამაჩერებს. — თქვა ერვანდმა და დასძინა; — საერთოდ, თუ მექანიზატორმა თავისი ტრაქტორი თვითონ არ შეაკეთა, ისე საქმე წინ ვერ წაუვა.

— მაშ, თქვენ თვითონ არემონტები, არა? ხელი ხომ არ გეშლებათ?

— თუ დროზე არ მოგვიტანეს ზოგიერთი სათადარიგო ნაწილი, როგორიც არის „დტ-75" მარკის ტრაქტორის უკანა ხიდი, სიჩქარეების გადამრთავი კოლოფი და სხვა, მაშინ კი ნამდვილად მოვცდებით.

— განაცხადი გაგზავნილი გვაქვს, — ჩაერია საუბარში სახელოსნოს გამგე ვ. პროხორიანი, — სათადარიგო ნაწილებს დღედღეზე ველით.

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ერთი ნაწილი თავიანთ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს „საქსახსოფლტექნიკის" ბარათელის სარაიონთაშორისო სპეციალური საწარმოო გაერთიანების სახელოსნოში აერემონტებს. აქაც თავდაუზოგავად მუშაობდნენ ტექნიკის შეკეთებაზე.

ტექნიკას თვალისჩინივით უფრთხილდებიან და მის შესაკეთებლად ორგანიზებულად მუშაობენ ქარწახის საბჭოთა მეურნეობის, დილისკის, ხანდოს, ბურნაშეთის, პრტენის, ხულგუმოს და სხვა სოფლების კოლმეურნეობათა მექანიზატორები.

სოფელ არაგვას კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — მ. არეკანი) ნაკლები ყურადღება ექცევა ტექნიკის შენახვასა და მოვლა-პატრონობას. მოუწყობელია მათი ავტოსატრაქტორო პარკი. აქ მათ ერთი პატარა ოთახი ან ფარდულიც კი არა აქვთ, სადაც მექანიზატორებს შეეძლებოდათ ზამთრის პირობებში მანქანას უბრალო ნაწილი შეუკეთონ.

შემოწმების დღისათვის კოლმეურნეობის ათი ტრაქტორიდან შესაკეთებელი იყო სამი. აქედან ორს „საქსახსოფლტექნიკის" საწარმოო გაერთიანების სახელოსნოში შეკეთება სჭირდება. მაგრამ იქ ტრაქტორის ფაილებისთვის რატომღაც არ უზრუნიათ. სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი კ. კურდოღლიანი კი ამ დროს რამდენიმე დღით პირად საქმეზე წასულა რაიონს გარეთ. სოფლის მექანიზატორები კი მის დაბრუნებას ელოდნენ, რომ ტრაქტორების შეკეთება დაეწყოთ.

ასეთსავე სურათს წავაწყდით სოფელ კოთელიის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ი. აჩელაშვილი). აქ სულ 14 ტრაქტორი და 6 ავტომანქანა აქვთ, აქედანაც ერთი ტრაქტორი დიდი ხანია ჩამოსაწერია, ოთხი კი — შესაკეთებელი.

ვ. ნარიმანიძის „დტ-75" მარკის ტრაქტორის შეკეთება ფერხდება იმის გამო, რომ მისი დაზიანებული უკანა ხიდის შესაცვლელად ახალი ვერ უშოვიათ. ორ ტრაქტორს ძრავა აქვს დაზიანებული, მაგრამ სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო ამ ძრავებს ადგილზე ვერ არემონტებენ და არც რაიონულ საცვლელ პუნქტში გზავნიან.

კოთელიის კოლმეურნეობაშიც კეთილმოსაწყობია ავტოსატრანსპორტო პარკი. მანქანა-იარაღების შესაკეთებლად კი არადა, ღამის დარაჯისთვისაც კი ერთი წესიერი ოთახი არა აქვთ. მართალია, რამდენიმე წლის წინათ აქ წამოიწყეს ერთი პატარა სახელოსნოს მშენებლობა, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს. ახლა კი ეს ნახევრად აშენებული კედლები ინგრევა.

მათს ავტოსატრაქტორო პარკში (თუკი შეიძლება ეს სახელი ეწოდოს მას) სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებთან ერთად მხოლოდ ერთი ჩამოსაწერი ტრაქტორი იდგა. სხვა ტრაქტორები და ავტომანქანები კი, როგორც მათ მეზობელ კოლმეურნეობაში, აქაც მექანიზატორთა ეზოებშია გაჩერებული. კოლმეურნეობის კანტორის გვერდით მექანიზატორთა სახლების წინ ჩვენ თვალი მოვკარით სატვირთო ავტომანქანას, ერთ „დტ-75" მარკის ტრაქტორს და ერთ მცირეგაბარიტიან ტრაქტორს თავისი მისაბმელით. მისაბმელზე ცარიელი ბოთლებით სავსე ხის ყუთი ეგდო, ხოლო კაბინაში ბავშვები ერთობოდნენ. კომენტარი ზედმეტია.

აღნიშნული დარღვევები რომ ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას, საჭიროა როგორც ამ რაიონის, ისე ზოგიერთი სხვა სოფლის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველომ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამთავითვე იზრუნონ ავტოსატრაქტორო პარკის კეთილმოწყობაზე, ხოლო საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის რომ მანქანები დროულად მოიყვანონ წესრიგში, ამისათვის „საქსახსოფლტექნიკის" საწარმოო გაერთიანებებისა და საზოგადოებრივ მეურნეობათა სარემონ

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. ფ. ს. სანაკოევის სიტყვა

(საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის

საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი)

ამხანაგებო! მეათე ხუთწლედის წლები სამხრეთ ოსეთის მშრომელებისათვის სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისაგან ყოველგვარი გადახრის, ეკონომიკაში შემაფერხებელი მოვლენების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის პერიოდი იყო. ამ ბრძოლაში იზრდებიან სამეურნეო ხელმძღვანელების კადრები, ყალიბდება მებრძოლი, მიზანსწრაფული პარტიული აქტივი, ვითარდება ოლქის ეკონომიკა და კულტურა.

ოლქის ეკონომიკური და სულიერი პოტენციალის დაჩქარებულ განვითარებას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ ამ დროის მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ მიიღეს რამდენიმე დადგენილება მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების თაობაზე.

მარშან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო საქართველოს სსრ კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“. კანონში გათვალისწინებულია მშრომელთა ყველა წინადადება და სურვილი, პარტიული, საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრივი, სამეცნიერო, შემოქმედებითი ორგანიზაციების მიერ წამოყენებული საკითხები.

ჩვენს ხალხს ეს მიაჩნია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის, რუსი, ქართველი, ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების ძმური დახმარებისა და მეგობრობის კონკრეტულ გამოვლინებად.

უინგარო, უხვი დახმარების საფუძველზე სამხრეთ ოსეთის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა შეძლეს გასულ ხუთწლედში მიღწეით მისი ძირითადი მაჩვენებლების რეალიზაციისათვის. წარმოების გეგმა 101,3 პროცენტით შესრულდა. სამრეწველო წარმოების მოცულობა მეცხრე ხუთწლედთან შედარებით 57 პროცენტით გაიზარდა.

1980 წელს ერთ სულ მოსახლეზე გამოშვებულია 1,5-ჯერ მეტი სამრეწველო საქონელი, ვიდრე 1975 წელს; 1975 წელთან შედარებით ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი 15-ჯერ გაიზარდა. პროდუქციის თითქმის მთელი მატება მიღწეულია შრომის ნაყოფიერების გაღიდების შედეგად. ოლქის განვითარების მასშტაბს თვალსაჩინოა ცხადყოფს სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობის ზრდის მაგალითი. გასულ ხუთწლედში კაპიტალდაბანდებათა მოცულობამ ისეთ სიდიდეებს მიაღწია, როგორიც არ ახსოვს სამხრეთ ოსეთს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე. საკმარისია ითქვას, რომ მეათე ხუთწლედში თითქმის იმდენივე კაპიტალური სამუშაოები განხორციელდა, რამდენიც მეშვიდე, მერვე და მეცხრე ხუთწლედებში ერთად. ფაქტობრივად ათვისებული კაპიტალური დაბანდებანი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებითთითქმის სამჯერ აღემატება ანალოგიურ საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

მეათე ხუთწლედში მკვეთრად გაიზარდა სამხრეთ ოსეთის სოფლის განვითარებაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა, რამაც შეადგინა 26 მილიონი მანეთი, ანუ 2,3-ჯერ მეტი, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებამ საშუალება მოგვცა დღის წესრიგში დაგვიყენებინა სასოფლო-სამეურნეო შრომის ეფექტიანობის ამაღლება. სხვა ღონისძიებებთან ერთად ამან შესაძლებელი გახადა მიგვეღწია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება-დამზადების გადიდებისათვის.

საერთოდ სოფლის მეურნეობის საშუალო წლიური პროდუქციის გამოსავლიანობა 44 პროცენტით აღემატება მეცხრე ხუთწლედში მიღწეულ ანალოგიურ მაჩვენებელს. მტკიცდება საზოგადოებრივ მეურნეობებში პროდუქციის დამზადების მოცულობის ზრდის ტენდენცია.

შესრულებულია სოფლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დიდი პროგრამა. საზოგადოებრივი მოხმარების ფონდები 43 პროცენტით გაიზარდა.

ეკონომიკის განვითარება დადებითს გავლენას ახდენს ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებაზე. მაგალითად, ხუთწლედის მანძილზე ყველა კატეგორიის მომუშავეთა საშუალო ხელფასი 35 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის სოფლის მეურნეობის ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე — 44 პროცენტით. აშენდა 155 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ბინები. ამ მიზნებს თითქმის ორჯერ მეტი სახსრები მოხმარდა, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში.

სწრაფი ტემპით ვითარდება კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სოციალური უზრუნველყოფის დარგები, კომუნალური მეურნეობა, ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვა. ყველაფერი, რასაც ოლქმა თავის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მიაღწია, მუშებისა და გლეხების, სახალხო ინტელიგენციის ნამდვილად თავდადებული შრომის, პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრივ ი ვ ი ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შედეგია.

ოლქის პარტიული კომიტეტები ცდილობენ ისე გაანაწილონ თავიანთი ძალები, რომ უზრუნველყონ საქმის წარმატება. სამხრეთ ოსეთის კომუნისტთა დაახლოებით 70 პროცენტი დასაქმებულია მატერიალური წარმოების სფეროში. პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების მთელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მიზნად ისახავს დასახული ამოცანების მიღწევის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას.

*როცა ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მიღწეულ წარმატებებზე, ოლქში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაზე, სოციალისტური მორალის ნორმების დაცვაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ მთელ რიგ შემთხვევებში შედეგები ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის. კერძოდ, ეს ეხება სოფლის მეურნეობის მდგომარეობას, რომელიც, ზრდის სწრაფი ტემპის მიუხედავად, ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა.

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ საწარმოებისა და მეურნეობების კოლექტივები წინანდელზე უარესად მუშაობენ? არა. როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ისინი საერთოდ უკეთ მუშაობენ, მაგრამ იმდენად კი არა, რამდენადაც გადიდდა მოთხოვნები და შეიცვალა პირობები.

თავს იჩენს აგრეთვე ხუთწლედის დამდეგს დაგეგმვაში, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დაშვებული შეცდომებიც. ეს შეცდომები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიმეოროთ.

არსებითი ნაკლოვანებები გვაქვს სახალხო მეურნეობის მართვაში, მთელი რიგი ხელმძღვანელი კადრების, მათი საქვეყნიერო დარგებისა და უწყებების, ქალაქისა და სოფლის შრომითი კოლექტივების მუშაობაშიც.

ამჟამად კომუნისტების, ყველა შრომელის უზნეშენელოვანესი ამოცანაა ოლქის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი განვითარება და გადიდება, მეურნეობრობის მეთოდების გაუმჯობესება, რადგან მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობათა ზრდა მშრომელთა რეალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი მოჯნების მიღწევის ძირითადი პირობაა.

ამისათვის საჭიროა კიდევ უფრო მტკიცედ ვებრძოლოთ პარტიული ორგანიზაციებისა და კომიტეტების ორგანიზაციულ-პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ყოველმხრივი სრულყოფისათვის, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეცადინეობის ზუსტად დაგეგმილი კოორდინაციისათვის, საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების გადაშენაკეტ უბნებზე ერთგული კომუნისტების განაწილებისათვის, რომლებსაც უნარი შესწევთ გაუძღვნენ საქმეს, ბოლომდე მიიყვანონ იგი.

მომდინარე ხუთწლედში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი მომძე ხალხების თანავარსებულ ოჯახში კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება. ახალი მძლავრი იმპულსი იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი, ამ ყრილობის, დადგენილებანი, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ჩვენს ოლქში ისეთი დიდი სახალხო-სამეურნეო ობიექტების დამთავრებასთან ერთად, როგორიც არის ტრიკოტაჟის საცალების ფაბრიკა, გაგრძელდება ტრანსკავკასიის საოლქთაშორისო გზის მშენებლობა, დაიწყება ავტოქარხნის ფილიალის, პედაგოგიური ინსტიტუტის, ჯავის სანატორიუმის, მინერალური წყლების ჩამოსასხმელი ახალი ქარხნის აგება. დაიწყო რეკონსტრუქცია, არსებითად კი შენდება ვიბრომანქანების ახალი მძლავრი ქარხანა. გათვალისწინებულია დიდი სახსრების ათვისება საცხოვრებელი სახლების, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობისაფვის.

ხუთი წლის განმავლობაში გამოიყოფა დაახლოებით 140 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი. სხვა ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად ეს, წინასწარი გამოანგარიშებით, საშუალებას მოგვცემს უზრუნველყოთ სამრეწველო წარმოების ტემპის 34-37 პროცენტით ზრდა. ციფრი ურიგო არ არის, მაგრამ იგი საკმარისი არ იქნება იმისათვის, რომ მომდინარე ხუთწლედის დამლევს ოლქის ეკ ო ნ ო მ ი კ ა მიაღწიოს საშუალო რესპუბლიკურ და საშუალო საკავშირო დონეს ძირითადი პარამეტრების მიხედვით. უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მთის ზონის საქმიროებებს. ეს ბევრ კითილმყოფელ ცვლილებას შეიტანს მთიელთა ცხოვრებაში. საანგარიშო მოხსენებაში მათი მომავლის შთამბეჭდავი პერსპექტივაა დასახული. შესაძლოა, საჭიროა გაზდეს ამ პროგრამის კონტექსტით განვიხილოთ მთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის შესასყიდი ფასების გადიდების საკითხი. ეს შესაძლებლობას მოგვცემდა დაგვიცავ მთისა და ბარის ზონების მეურნეობებისათვის თანაბარი ეკონომიკური პირობების პრინციპი.

სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპს აფერხებს აგრეთვე არსებული საწარმოო სიმძლავრეების არასრული გამოყენება. დაბრკოლებანი ნედლეულით, მაკომპლექტებელი ნაწარმით მომარაგებაში. ამ მხრივ ხშირად სცოდავენ საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები. მაგალითად, ნავარაუდევია ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის სიმძლავრე რეკონსტრუქციის შემდგომ მხოლოდ სანახევროდ გამოიყენონ.

ასეთივე მდგომარეობაა ქვების მრეწველობის სამინისტროს საქვეყნიერო ცხინვალის ხილ-კენკროვანი ღვინის ქარხნის გეგმის მხრივ. სრული უკიდგებით არ იყენებენ „ელექტროვობრმანქანის“, „ემალსადენის“ და სხვა ქარხნების სიმძლავრეებს. ჩვენი ქვეყნის მანქანათმშენებლობის სამინისტრო და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო უნდა დაგვიხმარონ ამ საკითხების გადაწყვეტაში. ეს დადებითს გავლენას მოახდენს ოლქის მშრომელთა შრომის პირობებისა და ცხოვრების გაუმჯობესებაზე. სამრეწველო საწარმოთა ფილიალების რაიონულ ცენტრებში განლაგება ბიძგს მისცემს მათს განვითარებას, ხელს შეიწყობს სოფლის მოსახლეობის მიგრაციის შემცირებას.

ოლქს აკლია ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური კადრები. აქ ჩვენ, აგრეთვე, გვაქვს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ტრადიციული დახმარების იმედი.

ქვეყანა ეგებება სკკპ XXVI ყრილობას, მიმდინარეობს გასული ხუთწლეულის შედეგების სერიოზული ანალიზი, როცა აწმყოსა და მომავლზე ვფიქრობთ, ვრწმუნდებით, რაოდენ სწორია გზა, რომელსაც საქართველოს კომპარტია ადგას. (ტაში).

ამხ. ნ. ი. მაკაროვის სიტყვა

(ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო

ოლქის ჯარების უფროსი)

ამხანაგებო! ჩვენ, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პარტიული ორგანიზაციის დელეგატებმა, დიდი ყურადღებითა და ინტერესით მოვისმინეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება, რომელშიც ღრმად არის გაანალიზებული რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ყრილობებს შორის განვლილ წლებში და ჩამოყალიბებულია ამოცანები მომავალი პერიოდისათვის.

თქვენთან ერთად ვიზიარებთ კანონიერ სიამაყეს მიღწეული შედეგებით და ვუპატაკებთ ყრილობას, რომ წარმატებით ვასრულებთ იმ ამოცანებს, რომლებიც პარტიამ, ხალხმა და პირადად ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დაგვისახეს ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოს უსაზღვრის საიმედო დაცვის საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმების გულთბილი სიტყვები, რომლებითაც მან საქართველოს სსრ მშრომელებს მიმართა რესპუბლიკის მიერ მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებით, აღგვაფრთოვანებს ჩვენც, მესაზღვრეებს, ახალი წარმატებებისათვის, სტიმულს გვაძლევს მეთერთმეტე ხუთწლედის ახალი მზვერავლების დასაოსტატებლად, რომლებიც დასახულია პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში. ეს პარტიული დოკუმენტი განიხილეს და ერთსულოვნად მოიწონეს ყველა სამხედრო კოლექტივებში. კომუნისტური აღმშენებლობის გრანდიოზული პერსპექტივით, ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიის ზრუნვით შთაგონებული მესაზღვრეები ახალი წლის პირველი დღეებიდანვე მტკიცე მხედრული და შრომითი ინერგმით ცხოვრობენ.

როცა განვსაზღვრავთ ჩვენს ამოცანებს ხუთწლედში, ვითვალისწინებთ, რომ თანამედროვე საერთაშორისო ვითარება, ოპერატიულ-სამსახურებრივი ნიმუშების ხასიათი და თავისებურებანი ოლქის უბანზე რთული იქნება. ვითარების თავისებურება ის არის, რომ ჩვენმა იდეოლოგიურმა მოწინააღმდეგეებმა ყველა მიმართულებით საგრძნობლად გააააქტიურეს ძირგამომთხრელი საქმიანობა. ჩვენ წინაშეა ობიექტური კანონზომიერება — რაც უფრო დიდი და მნიშვნელოვანია საბჭოთა ხალხის წარმატებები, მით უფრო გაბოროტებით და აგრესიულად მოქმედებენ მისი მტრები.

უახლოეს წლებში მნიშვნელოვნად გაიზრდება საზღვარგარეთიდან, კერძოდ, კაპიტალისტური ქვეყნებიდან საქართველოში ჩამოსული ტურისტების რიცხვი. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ დასახულია გაიხსნას ახალი ტურისტული ავტოსტრადა თურქეთიდან, რომელიც გავლის აჭარის, აფხაზეთისა და მთელი შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიაზე, აგრეთვე ეკონომიკური, ტურისტული, კულტურული და სხვა ურთიერთობის გაფართოება.

ამ პირობებში სახელმწიფო დაცვისადმი სულ უფრო მზარდ მოთხოვნათა შესასრულებლად გვჭირდება არა მხოლოდ ფხიზელი სამსახური, არამედ უმაღლეს დონემდე გაზრდილი სიფხიზლე — პოლიტიკური სიფხიზლე.

ამიტომ ჩვენ, ოლქის კომუნისტებს, ამ ამოცანის გადაწყვეტის გზად მიგვანიშნა აქტიური, შეურიგებელი, შეტევითი იდეოლოგიური მუშაობა, რათა ჯარების პირად შემადგენლობას ჩავუნერგოთ მაღალი კომუნისტური იდეურობა, დღენიადაგ სრულყოთ პროფესიული და ჩეკისტური მომზადება, ჩავუნერგოთ თითოეულ მესაზღვრეს სამშობლოს ერთგულებისა და მისი მტრებისადმი სიძულვილის გრძნობა.

პირადი შემადგენლობის აღზრდას საფუძვლად ვუდებთ პოლიტიკური სწავლების დამკვიდრებულ სისტემასა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის კლასიკურ ფორმებს, რომელსაც ვამდიდრებთ შინაარსისა და მისი მიზანმიმართულების თვალსაზრისით. უფრო აქტიურად ვიყენებთ პოლიტიკური სწავლების ერთიან დღეებს, სამეცნიერო თეორიულ და პრაქტიკულ კონფერენციებს, სემინარებსა და საუბრებს რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა მუშაკებს, სამხედრო საბჭოს წევრებს, ხელმძღვანელი რგოლის ოფიცრებს, საზღვრისპირა ქალაქებისა და რაიონების პროპაგანდისტული აქტივის მონაწილეობით. ყველაზე მეტ ეფექტიანობას ვაღწევთ იქ, სადაც იდეოლოგიურ მუშაობაში უნარიანად არის შეხამებული პოლიტიკური, მხედრული და ზნეობრივი აღზრდა.

წარმატებათა მიღწევას და მომავალი ხუთწლედის ამოცანათა გადაწყვეტას საფუძვლად უდევს ხალხთან, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან რესპუბლიკის შემოქმედებითს კავშირებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობაც, რომელიც სულ უფრო მტკიცდება. ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ის ყურადღება და ზრუნვა საზღვრის მეომრებისათვის, ჩვენი სამშობლოს საზღვრების დაცვისათვის, რომელსაც იჩენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო. ჩვენ დიდად ვაფასებთ დახმარებას საზღვრის ოფიცერთა და პირადი შემადგენლობის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში. დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო. ჩვენ დიდად ვაფასებთ დახმარებას საზღვრის ოფიცერთა და პირადი შემადგენლობის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში. დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქთან, მის სამხედრო საბჭოსთან, სარდლობასა და პოლიტიკურ სამმართველოსთან, ნ. ბაყოფლობის სახალხო რაზმულებთან, რომლებიც სასაზღვრაიონების მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს აერთიანებენ.

როცა კრიტიკულად ვაფასებთ ჩვენს შრომას, ვხედავთ ჩვენს ნაკლოვანებებსაც, გადაუწყვეტელ საკითხებსა და ვიწრო ადგილებს მუშაობაში. ამ ნაკლოვანებათა შესახებ საფუძვლიანი სკკპ-ბაასი გაიმართა ამასწინანდელ საოლქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე და ამიერკავკასიისა და კრასნოდარის მხარის სხვა პარტიული მუშაკები.

ოლქის კომუნისტება და მთელი პირადი შემადგენლობა ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას. მესაზღვრე მეომრები კიდევ უფრო ფხიზლად დაიცავენ ჩვენი სამშობლოს სამხრეთის საზღვრებს, სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებაში ახალი წარმატებებით აღნიშნავენ სკკპ XXVI ყრილობას. (ტაში).

ამხ. ნ. ა. ფოფხაძის სიტყვა

(საქართველოს სსრ ტელევიზიისა და

რადიომაუწყებლობის სახელმწიფო

კომიტეტის თავმჯდომარე)

ამხანაგებო! ჩვენს ყრილობაზე ყველა სიამაყით ლაპარაკობს განვლილი ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებების შესახებ. ამ წარმატებებს თანამონაწილეობენ, პარტიის ერთგულ თანამშემწედ სამართლიანად ითვლება ჩვენი მასობრივი ინფორმაციის ორგანოები, ჩვენი ჟურნალისტიკა; ჩვენი პუბლიცისტიკა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებისადმი ხელმძღვანელობის ნამდვილად პარტიულმა მეთოდებმა აამაღლა ჩვენი პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ავტორიტეტი. მათი გაზრდილი მებრძოლუნარობა, პოზიტიური დამკვიდრებისათვის აქტიური ხელშეწყობა და, რაც მთავარია, მათი მკაფიოდ გამოხატული სოციალისტური დემოკრატიზმი, ჩვენი აზრით, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის კიდევ ერთი მიღწევა და ახალი საბჭოთა კონსტიტუციის ცხოვრებამყოფელობის მკაფიო გამოვლინებაა.

თუ მხედველობაში მივიღებთ ტელევიზიისა და რადიოს სპეციფიკას, განსაკუთრებით ტელევიზიის ემოციურ-სანახაობითს ზემოქმედებას, როგორც ჩანს, მეტად უნდა ვიზრუნოთ მასობრივი პროპაგანდის ამ საშუალებათა განვითარებისათვის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. ეს დიდი პრობლემაა, რომელიც დღეს მწვავედ დგას.

4.707 დასახლებული პუნქტიდან 1980 წლის დამლევისათვის რადიოფიცირებული იყო მხოლოდ ნახევარი. ამავე დროს კი საქართველოში რადიოფიცირებისათვის გამოყოფილ სახსრებს წლითიწლობით ვერ ვითვისებთ.

რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის პრობლემებს მტკიცე პარტიული პოზიციებიდან არ უდგებიან რესპუბლიკის „საქონერგოს“, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელები.

ზედმეტ ხათრიანობას ვიჩენთ საქალაქთაშორისო და რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელები, როცა ვცდილობთ ურთიერთობა არ გავმწვავოთ დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის დროს საკავშირო სამინისტროებზე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, მინისტრთა საბჭოში. ამით ზიანს ვაყენებთ იდეოლოგიურ მუშაობას.

უაღრესად საჭიროა, რომ იდეოლოგიური ზემოქმედების ჩვენი საშუალებანი მაღალპროფესიონალად და დამაჯერებლად უპირისპირდებოდნენ ჩვენთვის უცხო იდეოლოგიის გავლენას. უფრო მეტიც, საჭიროა თვითონ გადავიდეთ შეტევაზე. ამის წანამძღვარია ჩვენი დღევანდელი სინამდვილე, საბჭოთა საქართველოს შთამბეჭდავი წარმატებანი, რესპუბლიკის პარტიორგანიზაციის ნაწარმოებებს მესაზღვრეთა შესახებ. გვიყვარს კომპოზიტორების ანატოლი ბასკაკოვის, ნუნუ გაბეჭონაის და ალექსანდრე შავერზაშვილის ნაწარმოებები. მაღალი შეფასება დაიმსახურა მხატვრების ელეონორა კანდელაკის, გიორგი კეშელავასა და ლიდია შაბარშნის სურათებმა. იმედი გვაქვს, რომ უახლოეს ხანში ეკრანზე გამოვა ფილმი მესაზღვრეთა შესახებ, რომლის შექმნაზეც მუშაობს ქართველი კინორეჟისორი ოთარ კობერიძე.

დიდ მაღლობას მოვახსენებთ ნაყოფიერი საქმიანობისათვის რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის, „ქართული ფილმის“ და“ სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიების, რესპუბლიკურ საზოგადოება „ცოდნის“, თეატრალურ კოლექტივებსა და ყველა შემოქმედებითს კავშირს მესაზღვრე მეომრებისადმი დიდი ყურადღებისათვის.

მეთერთმეტე ხუთწლედში ჩვენ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული იმაზეც, რომ შემდგომში განმტკიცდეს ჩვენი ურთიერთობა ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქთან, მის სამხედრო საბჭოსთან, სარდლობასა და პოლიტიკურ სამმართველოსთან, ნ. ბაყოფლობის სახალხო რაზმულებთან, რომლებიც სასაზღვრაიონების მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს აერთიანებენ.

როცა კრიტიკულად ვაფასებთ ჩვენს შრომას, ვხედავთ ჩვენს ნაკლოვანებებსაც, გადაუწყვეტელ საკითხებსა და ვიწრო ადგილებს მუშაობაში. ამ ნაკლოვანებათა შესახებ საფუძვლიანი სკკპ-ბაასი გაიმართა ამასწინანდელ საოლქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე და ამიერკავკასიისა და კრასნოდარის მხარის სხვა პარტიული მუშაკები.

ოლქის კომუნისტება და მთელი პირადი შემადგენლობა ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას. მესაზღვრე მეომრები კიდევ უფრო ფხიზლად დაიცავენ ჩვენი სამშობლოს სამხრეთის საზღვრებს, სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებაში ახალი წარმატებებით აღნიშნავენ სკკპ XXVI ყრილობას. (ტაში).

ამხ. ფ. ს. სანაკოევის სიტყვა

(საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის

საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი)

ამხანაგებო! მეათე ხუთწლედის წლები სამხრეთ ოსეთის მშრომელებისათვის სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისაგან ყოველგვარი გადახრის, ეკონომიკაში შემაფერხებელი მოვლენების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის პერიოდი იყო. ამ ბრძოლაში იზრდებიან სამეურნეო ხელმძღვანელების კადრები, ყალიბდება მებრძოლი, მიზანსწრაფული პარტიული აქტივი, ვითარდება ოლქის ეკონომიკა და კულტურა.

ოლქის ეკონომიკური და სულიერი პოტენციალის დაჩქარებულ განვითარებას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ ამ დროის მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ მიიღეს რამდენიმე დადგენილება მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების თაობაზე.

მარშან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო საქართველოს სსრ კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“. კანონში გათვალისწინებულია მშრომელთა ყველა წინადადება და სურვილი, პარტიული, საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრივი, სამეცნიერო, შემოქმედებითი ორგანიზაციების მიერ წამოყენებული საკითხები.

ჩვენს ხალხს ეს მიაჩნია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის, რუსი, ქართველი, ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების ძმური დახმარებისა და მეგობრობის კონკრეტულ გამოვლინებად.

უინგარო, უხვი დახმარების საფუძველზე სამხრეთ ოსეთის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა შეძლეს გასულ ხუთწლედში მიღწეით მისი ძირითადი მაჩვენებლების რეალიზაციისათვის. წარმოების გეგმა 101,3 პროცენტით შესრულდა. სამრეწველო წარმოების მოცულობა მეცხრე ხუთწლედთან შედარებით 57 პროცენტით გაიზარდა.

1980 წელს ერთ სულ მოსახლეზე გამოშვებულია 1,5-ჯერ მეტი სამრეწველო საქონელი, ვიდრე 1975 წელს; 1975 წელთან შედარებით ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი 15-ჯერ გაიზარდა. პროდუქციის თითქმის მთელი მატება მიღწეულია შრომის ნაყოფიერების გაღიდების შედეგად. ოლქის განვითარების მასშტაბს თვალსაჩინოა ცხადყოფს სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობის ზრდის მაგალითი. გასულ ხუთწლედში კაპიტალდაბანდებათა მოცულობამ ისეთ სიდიდეებს მიაღწია, როგორიც არ ახსოვს სამხრეთ ოსეთს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე. საკმარისია ითქვას, რომ მეათე ხუთწლედში თითქმის იმდენივე კაპიტალური სამუშაოები განხორციელდა, რამდენიც მეშვიდე, მერვე და მეცხრე ხუთწლედებში ერთად. ფაქტობრივად ათვისებული კაპიტალური დაბანდებანი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებითთითქმის სამჯერ აღემატება ანალოგიურ საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

მეათე ხუთწლედში მკვეთრად გაიზარდა სამხრეთ ოსეთის სოფლის განვითარებაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა, რამაც შეადგინა 26 მილიონი მანეთი, ანუ 2,3-ჯერ მეტი, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებამ საშუალება მოგვცა დღის წესრიგში დაგვიყენებინა სასოფლო-სამეურნეო შრომის ეფექტიანობის ამაღლება. სხვა ღონისძიებებთან ერთად ამან შესაძლებელი გახადა მიგვეღწია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება-დამზადების გადიდებისათვის.

საერთოდ სოფლის მეურნეობის საშუალო წლიური პროდუქციის გამოსავლიანობა 44 პროცენტით აღემატება მეცხრე ხუთწლედში მიღწეულ ანალოგიურ მაჩვენებელს. მტკიცდება საზოგადოებრივ მეურნეობებში პროდუქციის დამზადების მოცულობის ზრდის ტენდენცია.

შესრულებულია სოფლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დიდი პროგრამა. საზოგადოებრივი მოხმარების ფონდები 43 პროცენტით გაიზარდა.

ეკონომიკის განვითარება დადებითს გავლენას ახდენს ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებაზე. მაგალითად, ხუთწლედის მანძილზე ყველა კატეგორიის მომუშავეთა საშუალო ხელფასი 35 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის სოფლის მეურნეობის ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე — 44 პროცენტით. აშენდა 155 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ბინები. ამ მიზნებს თითქმის ორჯერ მეტი სახსრები მოხმარდა, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში.

სწრაფი ტემპით ვითარდება კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სოციალური უზრუნველყოფის დარგები, კომუნალური მეურნეობა, ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვა. ყველაფერი, რასაც ოლქმა თავის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მიაღწია, მუშებისა და გლეხების, სახალხო ინტელიგენციის ნამდვილად თავდადებული შრომის, პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრივ ი ვ ი ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შედეგია.

ოლქის პარტ

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. ო. ვ. მელქაძის სიტყვა

(საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე)

ამხანაგებო! მეათე ხუთწლედი, რომელმაც ახალი ეტაპი დაიწყო საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებაში, ჩვენი რესპუბლიკისათვის ზრდისა და წარმატებების ხუთი საფეხური გახდა. ჩვენ უკვე სიამაყით აღვნიშნავთ, რომ ეს არის ჩვენი ორგანოებისადმი გადადებული ყურადღებისა და მოთხოვნის ხუთწლედი. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით მიღებული „კანონი სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ“ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი დადგენილება ჩვენთვის სამოქმედო პროგრამა გახდა.

ჩვენი მუშაობის სტილისა და მეთოდების განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ტენდენციათა შორის უნდა დავასახელოთ კონტროლის კოორდინაციისა და პროფილაქტიკური ზემოქმედების გაძლიერება. ამ მიმართულებებზე აქცენტის გადატანა გამოიწვია პარტიის მაგისტრალურმა მოთხოვნამ — გაუმჯობესდეს მთელი სახალხო-სამეურნეო მექანიზმის მუშაობის ხარისხი. კოორდინაცია გვესმის არა მარტო როგორც შემოწმების პარალელიზმის აღმოფხვრა, არამედ უფრო ფართოდ — როგორც ნაკლოვანებების წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნა. ამ საქმეში განმსაზღვრელია კონტროლის ატმოსფერო, შემოწმების საკონტროლო პოზიტიური, აღმშენებლობითი მხარეების გაგება. სამინისტროებთან და უწყებებთან თანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმა გახდა ერთობლივ საკონტროლო-ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის მუშაობა. ამ თვალსაზრისით კარგად ვთანამშრომლობთ მსუბუქი, ზორცისა და რძის მრეწველობის, კულტურის, საავტომობილო ტრანსპორტის და სხვა სამინისტროებთან.

დაახლოებითი მონაცემებით, რესპუბლიკაში ათიათას დაფიქსირდებულ სამეურნეო ერთეულზე მოდის დაახლოებით 85 საკონტროლო-საინსპექციო სამსახური 8 ათასი მუშაკის შემადგენლობით ცენტრში და აქედან ველებზე. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არის უკონტროლო უბნები. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ საუწყებო და საუწყებათაშორისო კონტროლის ზოგიერთმა სამსახურმა მშვიდი ადგილი არჩია და ამოეფარა რესპუბლიკაში დადებითის ცვლილებებს. ვფიქრობ, ყრილობამ უნდა განსაზღვროს კონტროლის მთელი სისტემის გააქტიურების ამოცანა. არსებული მდგომარეობის შექმნაში, უეჭველია, სახალხო კონტროლის ორგანოებსაც მიუძღვით ბრალი. ჩვენ ჯერ ვერ მივაღწიეთ ყველა კომიტეტისა და ჯგუფის საქმიანობის გააქტიურებას. სახალხო კონტროლის ორგანოების რესპუბლიკური აქტივის კრებაზე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ სახალხო კონტროლს უწოდა სარკე, რომელიც ასახავს პარტიული ორგანოს ბრძოლისუნარიანობას. სავსებით დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი საუკეთესო კომიტეტებია აჭარის საოლქო, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის, გორის, ჭიათურის, ტყიბულის, ფოთის, თელავის, ხაშურის, სამტრედიისა და სხვა კომიტეტები, რომლებმაც გაბრაზეს თავიანთი ავტორიტეტი შესაბამისი პარტიული კომიტეტების უნარიანი ხელმძღვანელობით.

ყოველივე ამასთან ერთად, როცა ჩვენი ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზებს ვაანალიზებთ, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ ისინი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში ხარვეზებით არის გამოწვეული.

სახალხო კონტროლის ორგანოებში ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ყოველთვის სწორად არ ვუდგებით მათი ხელმძღვანელების შერჩევის საქმეს. საქმის გაუმჯობესების გზები დაისახა ხელმძღვანელ კადრებთან მუშაობის პრობლემების გამო რეკომენდაციების შემუშავებისათვის დელეგატთა ჯგუფის სხდომაზე.

ჩვენს მუშაობაში მთავარი ყურადღება უნდა დავუთმოთ განსახორციელებელ ღონისძიებათა ფართო დემოკრატიზაციას.

ჩვენ მიერ განხორციელებული ღონისძიებების, შემოწმების შედეგებზე რომ ვლაპარაკობთ, გვინდა შევეხოთ ხელმძღვანელსაც — მთავარ ფიგურას—საანგარიშო მოხსენების დებულებების — „დემოკრატია, დისციპლინა, აქტიურობა — ადამიანის საკეთილდღეოდ!“ — განხორციელებაში მთავარ ფიგურას.

წამატებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით უკვე რამდენიმე თვეა მოქმედებს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემოწმებები მოწმობს, რომ პარტიის მოთხოვნები ზოგიერთი სამინისტროს საქმიანობაში ჯერ კიდევ არ ქცეულა უცილობელ კანონად. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ობიექტებზე სამუშაო ჯგუფმა გამოავლინა ორი წლის მანძილზე მომხდარი წამატებების ბევრი ფაქტი. ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობა სწორ პოზიციას დაადგებოდა, გადავეცით მათ შემოწმების მასალები და, როგორც ჩანს, შევცდით. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში ეს მასალები ჯეროვანი ყურადღებით არ განუხილავთ. და აი, კიდევ ერთი შემოწმება, რომელმაც ახალი წამატებები გამოავლინა.

უკეთ როდის საქმე საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში. გასული წლის თერთმეტი თვის მონაცემების თანახმად, როგორც შემოწმებამ ცხადყო, სამინისტრომ სახელმწიფოს დააკლო 29 მილიონი ცალი აგური. ეს — ქალაქდზე. სინამდვილეში გასაგზავნად იტვირთება საშუალოდ 10 პროცენტით ნაკლები. მშენებლობები კი გამოსადგ აგურს კიდევ ამდენივეთი ნაკლებს იღებენ. გამოდის, რომ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსა და მისი საწარმოების ხელმძღვანელებს მეტად აწუხებთ აგურის საკითხი ქაღალდზე, ვიდრე სამშენებლო მოედნებზე.

ჩვენ თითქოს შევეგუეთ აზრს, რომ რკინიგზაზე ნაკლოვანებათა გამომწვევი ბევრი ობიექტური პირობაა. მაგრამ ცუდია ის, რომ რკინიგზის ხელმძღვანელები თავიანთ ნაკლოვანებებსაც ამას აბრალებენ. ჩვენი შემოწმება ცხადყოფს, რომ მდგომარეობას აუარესებს აგრეთვე ხელმძღვანელობის ყველა უბანზე დაბალი დისციპლინა. მარტო სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა რკინიგზის მთელი სამმართველოს და მისი განყოფილებების ხელმძღვანელი შემადგენლობიდან დასაჯა თექვსმეტი, სამუშაოდან გაათავისუფლა ოთხი მუშაკი. ჩანს, ძნელია გაუგო რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელებს, როცა ისინი აწინაურებენ მუშაკებს, რომლებიც წინათ ოთხჯერ დასაჯეს.

ამას შემთხვევით არ შევხებივარ. ეს ფაქტი ასახავს მუშაობის სტილს, მის ნაკლოვანებებს. და ამას სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ არა მარტო რკინიგზის სამმართველოს უფროსი ამხ ლ. გ. ვარდოსანიძე, არამედ ზოგიერთი სხვა ხელმძღვანელი მუშაკიც. ჩვენ, ამხანაგებო, გვასწავლეს არ მიეჩქმალოთ ნაკლოვანებანი და ვლაპარაკობთ მათზე გულწრფელად, რადგან გვსურს აღმოვფხვრათ მათი რეციდივები, ვამრავლოთ ჩვენი წარმატებები.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლორები ამხანაგი ე. ა. შევარდნაძემ ასე დაარიგა: „გვერდს ნუ აუვლით! გვერდს ნუ აუვლით დარღვევებს, გადახრებს, ნაკლოვანებებს, ხარვეზებს!“ და ეს განსაზღვრავს საქართველოს მთელი პარტიორგანიზაციის შემტევ პოზიციას, ჩვენგან, კომუნისტებისაგან მოითხოვს აქტიურობას, რათა ყველგან და ყველაფერში დავამყაროთ პარტიული, ჩინებული დისციპლინა.

მაშ, ვუსურვოთ ერთმანეთს ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობის ზედმიწევნით შესრულება საყვარელი სამშობლოს სადიდებლად. **(ტაში).**

ამხ. მ. ა. მეზვრიშვილის სიტყვა

(საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი)

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ნაკვეთად გამოიკვეთა ის დადებითი ძვრები და გახახლება, უფრო სწორად — აღორძინება, რაც მეათე ხუთწლედში მოხდა ჩვენი ერის ცხოვრებაში მისი მატერიალური და სულიერი კულტურის ამაღლების საქმეში: ამ წარმატებებს ჩვენმა რესპუბლიკამ მიაღწია მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ბრძნული ხელმძღვანელობით.

ეს შემარიტად დიდია მეათე ხუთწლედში მიღწევათა მასშტაბი. ჩვენ ზე სასახარულო კი ჩვენთვის ის არის, რომ ამ პერიოდში ესამჩნევად გაიზარდა საქართველოს წვლილი საკავშირო მიღწევებში.

საგარეჯოს რაიონის კომუნისტები, ყველა მშრომელი მზეურავად იწონებენ და მხარს უჭერენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ და პრაქტიკულ საქმიანობას და ყველ ღონეს ხმარობენ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ რესპუბლიკის საერთო მიღწევებში.

მეათე ხუთწლედში გადაპარბებით შესრულდა გეგმით გათვალისწინებული დავალებები მრეწველობასა და მშენებლობაში. მიღწეული წარმატებებისათვის 1978 და 1979 წლებში რაიონი ზედიზედ ორჯერ დაჯილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდი როლი შასრულა დადგენილებამ საგარეჯოს რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ.

თუ რა გაკეთდა და რა შედეგებამდე მივიღეთ, ამაზე დაბეჯითებით მეტყველებს ციფრები. 1975 წელთან შედარებით 1980 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 12 მილიონიდან 29,5 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. მეცხრე ხუთწლედში წარმოებული იყო 57 მილიონი მანეთის პროდუქცია, მეათე ხუთწლედში — თითქმის 117 მილიონი მანეთისა.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გახსნის დღისთვის დამატებით ავითვისეთ 700 ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა, ხოლო მთლიანად მეათე ხუთწლედში სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოგვაქცეთ ადრე გამოყენებული 3700 ჰექტარი მიწა.

როცა წინა — XXV ყრილობაზე გამოსვლისათვის ვემზადებოდი, მოვეთათბირე პარტიის რაიკომის ბიუროს წევრებს და გადავწყვიტე მაშინ წამომეძახა ყველაზე მტკივნეული და ძნელად გადასაჭრელი საკითხები. ეს იყო საქართველოს ყამირის — გარეჯის უდაბნოს მიწების ათვისების, გაწყლოვანების, სოფლის დასახლება-განაშენიანების, ისტორიული ძეგლების რესტავრაციის საკითხები. ზოგიერთი „ურწმუნო თომა“ ეჭვს გამოთქვამდა ამ საკითხების წარმატებით გადაჭრის თაობაზე. ჩვენ მათ არ დავუჯერეთ და ყრილობაზე ვთქვით ის, რაც საჭიროდ მივიჩნიეთ. ახლა კი დროა შეეჯამოთ შედეგი. მოხდა წარმოუდგენელი რამ. დღეს გარეჯელებს ვეღარაფრით გააკვირვებთ, იმითაც კი, რომ ზღაპრად გაგონილი სინამდვილედ იქცეს. ჩვენი ხალხის საუკუნოვანი ოცნება ახდა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ჩვენ მიერ წამოჭრილი საკითხები გულთან მიიტანა, დაიწყო მათი გეგმაზომიერი რეალიზაცია. რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერით 1976 წლის 14 მაისს გარეჯის კომპლექსის ბაზაზე შეიქმნა სახალხო უნივერსიტეტები, საფუძველი ჩაეყარა გრანდიოზულ სახალხო დღესასწაულს — „გარეჯობას“, ამ დღესასწაულში თითქმის მთელი რესპუბლიკა მონაწილეობდა, ყველამ შეიტყო გარეჯის პრობლემები. დაიწყო საქართველოს ყამირის შეტევა. შემჭიდროებულ ვადებში შემუშავდა უდაბნოს რწყვის პროექტი. ყრილობაზე შორის პერიოდში უდაბნოში აშენდა მრავალი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი, 70 ოჯახი შეესახლეს კეთილმოწყობილ ბინებში. სოფელ უდაბნოში გაიხსნა ფოსტის განყოფილება, ამბულატორია, სკოლა, საბავშვო ბაღი, სადაც უკვე აჰ სოფელში დაბადებული ბავშვები იზრდებიან. შეექმნა სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭო, რომლის დამფუძნებელი სესიისა და სასოფლო საბჭოს გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები მისი პირველი მდივნის მეთაურობით.

მართლა ის ფაქტი რად ღირს, რომ ათასწლობით დადუმებულმა თვალუწვდენელმა ველებმა ენა ამოიდგა! შარშანდელი არქეოლოგიური გათხრების პირველი შედეგების მიხედვით ჩვენ წინაშე უკვე ცოცხლდება ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით დათარიღებული ქართული კულტურისა და ყოფის სურათები. ამაზე მხოლოდ ოცნება თუ შეგვეძლო წინა ყრილობამდელ პერიოდში.

მთავარი კი ის იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე კონტროლი დაუწესა მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმებას, მკაცრად გვთხოვდა პასუხს, მაგრამ საჭიროების დროს გვეხმარებოდა წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანაში. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, გარეჯის უდაბნოს გამოცოცხლება არ ეწერა. ვფიქრობ, დელეგატები დამეთანხმებიან, რომ მარტო ამ მიღწევებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობას საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებელი კი არა, უფრო მაღალი შეფასება უნდა მიეცეს.

ვამაყობთ, რომ ამ სახელოვანი მატიანის შემოქმედნი საგარეჯოს რაიონის მშრომელებიც არიან, რომლებმაც, ყრილობაზე რომ მოვდიოდით, დაბარეს ამხანაგო ედუარდ, გადმოგაცეთ გულწრფელი მადლობა ასეთი ზრუნვისა და დახმარებისათვის, იმისათვის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პირადად თქვენი ხელმძღვანელობით, საქართველოს მშრომელები გავიდნენ საკავშირო მაჩვენებლების მიჯნაზე. საგარეჯოელები პირობას გაძლევენ, რომ ვიშრომებთ ჩვენი მამულის აყვავებისათვის, რათა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების ბრწყინვალე თანავარსკვლავედში მუდამ კაშკაშებდეს საბჭოთა საქართველოს სახელი.

მინდა რამდენიმე საკითხი წამოვჭრა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობას ვთხოვო დაგვეხმაროს მათს გადაჭრაში.

ჩემი თაობის ადამიანები სოფლების გაუქმებას უფრო ხშირად მოსწრებიან, ვიდრე მათს დაბადებას. ჩვენ თვალწინ გაუქმდა სოფლები ზემო ყანდაურა, ბურდიანი, თარაქი, ხოლო ექვს სოფელში მათი უპერსპექტივობის გამო შეჩერდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

შევცოდავდით, თუ არ ვიტყოდით, რომ სოფელი ქვეყნის მარჩენალია. ამიტომ გადავწყვიტეთ ყველაფერი ვიღონოთ გაუქმებული სოფლების აღსადგენად. მართალია მარტო ჩვენ გაგვიჭირდება ამ საქმის დაძლევა, მაგრამ გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც დაგვეხმარებიან, რადგან მათ კარგად იციან, რომ ქართული სოფლის განვითარება-აღორძინება არ არის ერთი რომელიმე უწყების ან რაიონის ხელმძღვანელთა საქმე. იგი საერთო, პატრიოტული, დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა. მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ — მხვნელ-მთესველმა და ქალაქელმა მუშამ, ინჟინერმა და არქიტექტორმა, მხატვარმა და მწერალმა, რადგან ქართული სოფელი მთელი საქართველოა.

რამდენადაც ვიცი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ (რომლის ხელმძღვანელი ამხ. ი. ხარატიშვილი საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატია ჩვენი საარჩევნო ოლქისაგან), გადაწყვიტეს დაგვეხმარონ სოფელ ზემო ყანდაურის აღდგენაში. ჩვენ სიხარულით მივესალმებით ამ კეთილშობილურ წამოწყებას.

უფრო მეტი წარმატება გვექნებოდა, რომ ზოგიერთი სამინისტრო და საპროექტო ორგანიზაცია ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით წყვეტდეს ობიექტების აშენების საკითხებს. ეს ძირითადად ეხება მეცხოველეობის კომპლექსებს. მეათე ხუთწლედში ჯერ დამთავრებული არ იყო გიორგიწმინდისა და გარეჯის კომპლექსების მშენებლობა, რომ უკვე დავიწყეთ მათი რეკონსტრუქცია. დროა ბოლო მოეღოს საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას.

მეათე ხუთწლედში დაბალ დონეზე იდგა ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საქმე. მეცხოველეობის კომპლექსები მთელი კვირების განმავლობაში უსინათლოდ იყო. ბევრჯერ მოგვიხდია სანთლის შუქზე საახალწლო ზეიმის, მწერლებთან შეხვედრის, აქტივის კრების გამართვა.

სასიხარულოა აღვნიშნოთ, რომ „საქენერგოს“ ახლანდელი ხელმძღვანელობა (უფროსი ამხ. ი. ჭედია) ყოველ ღონეს ხმარობს შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად.

საგარეჯოს რაიონის კომუნისტები, მშრომელები არ დაიშურებენ ძალასა და ენერგიას, რათა პირნათლად შეასრულონ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებანი. **(ტაში).**

ამხ. გ. ი. გვეტაძის სიტყვა

(საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი)

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მეათე პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის შემდგომ განვლილ პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის საკითხებს.

პოზიტიური ცვლილებების მიღწევაში საწყისი მიჯნა გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1979 წლის აგვისტოს დადგენილება „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. ვაჯამებთ რა ამ საპროგრამო პარტიული დოკუმენტის შესრულების მიზნით გაწეული მუშაობის შედეგებს, შეგვიძლია თქვათ, რომ ბევრი რამ არის გაკეთებული.

განხორციელდა ღონისძიებები სამინისტროს სტრუქტურის სრულყოფისათვის, კვალიფიციური კადრებით განმტკიცდა სისხლის სამართლის სამმართველო და სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი აპარატები, განხორციელდა საგამოძიებო ქვეგანაყოფების რეორგანიზაცია, შეიქმნა ოპერატიულ-ტექნიკური სამმართველო.

მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა საპატრულო-საგუშაგო სამსახურის აღდგენისათვის. აღნიშნული სამსახურის ქვეგანაყოფები შეიქმნა თბილისში, ნოსტალგიში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, რუსთავში და სხვაგან.

ყველა ეს საკითხი წყდებოდა პუბლიკის მეცნიერებთან და ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებთან ერთად ჩვენს ყრილობას უსატკეს, რომ კოქსწვრილას ნაცვლად თერმოლუდ დამუშავებული მაღალნაცრიანი ქვანახშირის გამოყენებით, რის შესახებ ლაპარაკი იყო საანგარიშო მოხსენებაში, მიღებულია ფეროშენადნობთა პირველი პარტიები.

რა თქმა უნდა, ახალი ტექნიკის, ახალი ტექნოლოგიის დანერგვა დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან, ზოგჯერ რისკთანაც კი. მაგრამ ძიება და შემოქმედება შუდამ დაკავშირებულია რისკთან. ჩვენ მხარს ვუჭერთ კარგად მოფიქრებულ, აწონილ-დაწონილ, დეტალურად გააზრებულ რისკს, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება ყველა მასალოდნელი შედეგი, მხარს ვუჭერთ ცხოვრების აუცილებლობით, ობიექტური პირობებით გამართლებულ რისკს.

ანდა ავიღოთ ასეთი მაგალითი. კარგად არის ცნობილი, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მაღალხარისხოვანი დიატომიტის უმდიდრესი საბადოებია. შემუშავებულია მისგან მფილტრავი ფხვნილის წარმოების პროგრესული ტექნოლოგია. ამ ძვირფას პროდუქტზე უდიდესი მოთხოვნაა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. მიუხედავად ამისა, თავის დროზე საჭირო გახდა დიდი შეუპოვრობა, რათა გასაქანი მიგვეცა დიატომიტისაგან პროდუქციის წარმოების შემდგომი განვითარებისათვის. მართალია, დღეს ქმაყოფილებით მოვახსენებთ ყრილობას, რომ ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა მეცადინეობით ამშენდა ქარხანა და ყრილობის გახსნის დღისათვის ამოქმედდა დიატომიტის ფხვნილის მიღების ორიგინალური ტექნოლოგიური სქემა, რომელიც ქართველმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს, მაგრამ აქვე არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ ამ წარმოებას გაცილებით უფრო ადრე მოვაგვარებდით, ზედმეტი დავა და სიჯიუტე რომ არ ყოფილიყო.

ჩვენ გადაჭრით უარყოფთ უსაფუძვლო ბრალდებებს ჩვენი კადრების წინააღმდეგ, მათი სახელის შელახვის ყოველგვარ ცდას. მაგრამ, ვიცავთ რა ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელების ავტორიტეტს და დიდად ვაფასებთ მათ თავდადებულ შრომას, ამასთანავე მათ უნდა შევახსენოთ რომ ახალი ამოცანები მოითხოვს ახალ მიდგომას, ახალ გადაწყვეტილებებს, თვით ცხოვრება გვიკარნახებს საკითხის ასე დაყენებას.

მინდა შეეეხო აგრეთვე მომსახურების სფეროს, ძირითადად, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგების მართვის ზოგიერთ ასპექტს. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული ამ დარგების მუდმივმზარდი როლი პარტიის თანამედროვე ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელების საქმეში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საანგარიშო პერიოდის მანძილზე ბევრი ეფექტიანი ღონისძიება განახორციელა ამ სფეროსადმი პარტიული ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად.

ყოველივე ამან დადებითი შედეგები მოგვცა, მაგრამ ამ სფეროს მართვის სრულყოფის გზაზე სიძნელეები საკმაოდ დარჩა. საჭიროა განსაკუთრებით მაღალი ორგანიზებულობა, შეთანხმებულობა და მიზანმიმართულობა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო. სამსახურის თითოეული რგოლის მუშაობაში, თითოეული სამინისტროსა და უწყების, თითოეული სავაჭრო სისტემისა და ორგანიზაციის ფუნქციებისა და ამოცანების ზუსტი გამიჯვნა. ეს კი, ძალზე რთული საქმეა, თუ გავითვალისწინებთ, რომ რესპუბლიკის 15 ათასზე მეტი სავაჭრო საწარმო დაახლოებით 50 სხვადასხვა სავაჭრო სისტემასა და უწყებას ექვემდებარება.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ვაჭრობის მართვის გენერალური სქემის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს სქემა უკვე განხილეს და მოიწონეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ, მისი დანერგვა რესპუბლიკაში გაჭიანურდა საკავშირო და ადგილობრივი დაქვემდებარების ზოგიერთი უწყების დაუსაბუთებელი პოზიციის გამო.

უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი რესპუბლიკური ხელმძღვანელი ორგანო თავს არიდებს მომსახურების სფეროს განვითარებისა და მართვის მწვავე პრობლემების გადაჭრას. იზრდება მომსახურების სფეროს დარგების ხელმძღვანელთა პრეტენზიები სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, ფინანსთა სამინისტროსა და რესპუბლიკის სხვა ინსტანციების მხრივ ბევრი მომწიფებული საკითხის გადაწყვეტაში საქმის გაჭიანურების შესახებ. შესამჩნევად შესუსტდა კონტროლი მომსახურების სფეროს დარგებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულებისადმი სახალხო კონტროლის კომიტეტში და თვით რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მუშაობის საბოლოო შედეგებზე.

ჩვენი აზრით, მომწიფდა საკითხი, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე მუდმივად და მთლიანად ხელმძღვანელობდეს მხოლოდ ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგებს. ცხოვრების აუცილებლობით ნაკარნახევი ეს ნაბიჯი მნიშვნელოვნად დააჩქარებს ამ დარგების განვითარებას და უზრუნველყოფს ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობის დონის შემდგომ ამაღლებას.

ჩვენ ძალზე გვაღელვებს სიძნელეები, რომლებსაც ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა განიცდის სარკინიგზო ტვირთზიდვის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო. აქ არ შეიძლება არ ითქვას, რომ მარტო შარშან გზათა სამინისტრომ რამდენჯერმე შეცვალა ბოლო წლების მანძილზე შექმნილი ტვირთნაკადების სქემა ამერიკაკავკასიაში, რამაც ამერიკაკავკასიის რკინიგზის მუშაობას გაჩერების საფრთხე შეუქმნა. გარდა ამისა, ვერ უზრუნველყო რა ტვირთზიდვის ჯეროვანი დონე მეზობელ გზებზე, სამინისტრომ მათი მუშაობის ნაწილი ჩვენს მაგისტრალზე გადმოიტანა. ამის შედეგად დაგრძელდა ტვირთის შემოტანის გზა, დაირღვა სახარისხებელი სადგურების მუშაობის ტექნოლოგია და რიტმი და მთლიანად ბლოკ მუშაობა.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა, ყველაფერი სამინისტროსათვის დაგვებრალებინა. ჩვენს რკინიგზელებს კიდევ აქვთ ბევრი რეზერვი, რომლებიც უნდა აამოქმედონ. მარტო ისეთი მაჩვენებლის ნორმამდე დაყვანა, როგორიც არის ვაგონების ბრუნვა, ყოველდღიურად 800 ვაგონით გაადიდებს ამერიკაკავკასიის რკინიგზის სატვირთავ რესურსებს, რაც ეკვივალენტურად უდრის წელიწადში დაახლოებით 15 მილიონი ტონის გადაზიდვას.

დიდი რეზერვებია ავტოტრანსპორტზეც. უნდა ვიზრუნოთ საერთო სარგებლობის ტრანსპორტის განვითარებისათვის და მივაღწიოთ საუწყებო ავტოტრანსპორტის ეფექტიან გამოყენებას. სრულიად დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ მეათე ხუთწლედის მანძილზე საუწყებო ავტოტრანსპორტი გადიდდა 68 პროცენტით, მაშინ როცა საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტი მხოლოდ 6 პროცენტით გაიზარდა. და ეს იმ დროს, როდესაც საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის კუთრი წონა რესპუბლიკის სატვირთო ავტოპარკში 21 პროცენტს შეადგენს, ხოლო იგი რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის მთელი ტვირთბრუნვის დაახლოებით 40 პროცენტს აწარმოებს.

გადაჭრით უნდა აღვკვეთოთ ტვირთის საქალაქთაშორისო გადაზიდვისათვის უწყებრივი ავტოტრანსპორტის გამოყენების ფაქტები და მივაღწიოთ იმას, რომ ეს გადაზიდვა ძირითადად ხორციელდებოდეს საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტით. ეს შესაძლებელს გახდის გამოთავისუფლდეს ათასზე მეტი სატვირთო ავტომობილი წელიწადში, ცარიელი გარბენები 30 პროცენტამდე შემცირდეს.

მეთერთმეტე ხუთწლედში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და ყველა დაინტერესებულმა სამინისტრომ და უწყებამ უფრო სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის შემდგომი უპირატესი განვითარების საკითხებს და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ საკითხზე სადირექტივო მითითებათა შესასრულებლად.

და კიდევ ერთი საკითხი. ცნობილია, რომ მართვის სხვადასხვა ფორმის განხორციელება, მათ შორის მართვის დარგობრივი და რესპუბლიკური ავტომატიზებული სისტემებისა, რომლებიც ამჟამად შუშავდება, შეუძლებელია, თუ არ გვექნება შესაბამისი ტექნიკური ბაზა და კავშირგაბმულობის არხები. რესპუბლიკის კავშირგაბმულობის საშუალებათა შემდგომი განვითარება ჩვენი უმნიშვნელოვანესი და უპირველესი ამოცანაა. მაგრამ, როგორც საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროში საქმე ნელი ტემპით სწორდება, ყველა წინადადებას, რომელთა მიზნით ამ პრობლემის გადაჭრა, უცილობლად რიდი იღებენ.

მოსალოდნელი შედეგები ვერ მოგვცა, მაგალითად, ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დასაბუთებულმა გადაწყვეტილებამ, რომელიც ითვალისწინებდა რესპუბლიკური სამინისტროების, უწყებებისა და საკავშირო დაქვემდებარების დიდი საწარმოების წილობრივ მონაწილეობას კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებაში.

აქ არ შეიძლება არ დავასახელოთ ის ორგანიზაციები, რომლებმაც თავი აარიდეს გათვალისწინებული წილობრივი სახსრების გამოყოფას. ეს არის კვების მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის რესპუბლიკური სამინისტროები და სხვ.

თვით საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ პასიურობის გამო მთლიანად ვერ აითვისა ფულადი სახსრების გამოყოფილი ნაწილიც.

ამხანაგებო! პრობლემები, რომლებიც ჩვენ წინაშე დგას მეთერთმეტე ხუთწლედში, გაცლებით მეტია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამ პლენუმზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებული მითითებანი ამოცანად გვისახავს ღრმა მეცნიერული, კომპლექსური მიდგომა გამოვიჩინოთ ჩვენ წინაშე მდგომი პრობლემებისადმი.

ყველა ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაეუფლებიან ჩვენი კადრები ცოდნას, გამოიჩენენ გონგილიანობას, ორგანიზებულობას, იმის უნარს, რომ ხელადვიდნენ შორეულ პერსპექტივას, პოულობდნენ მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიან გზებს.

კარგი საქმე, კეთილსინდისიერი შრომა არასდროს დარჩება შეუმჩნეველი. ღრმად ცდება ის,

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

(დასასრული)

შინაგან საქმეთა სამინისტრო მიმართავს ღონისძიებებს ნარკომანთა შრომითი გამოსწორებისა და იძულებითი მკურნალობის პროცესის გასაუმჯობესებლად. მაგრამ მარტო სასჯელის ღონისძიებებით ვერ მივაღწევთ წარმატებას ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მრავალი საკითხი, რომლებიც შედის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კომპეტენციაში, ნელა წყდება. მაგალითად, არ არის შექმნილი ნარკოლოგიური დისპანსერები და კაბინეტები გაგრაში, ტყვარჩელში, ქობულეთში, ბორჯომში, გარდაბანში, მარნეულსა და სხვა ქალაქებში.

კვლავ უმთავრეს ამოცანად რჩება ის, რომ გაუმჯობესდეს შინაგან საქმეთა ორგანოების კადრების შერჩევა-განაწილება და აღზრდა, განმტკიცდეს დისციპლინა და კანონიერება, გაიწმინდოს მათი რიგები უღირსი და საბჭოთა მილიციის მუშაკის საპატიო წოდების შემარცხვენელი პირებისაგან. ამ მიმართულებით შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველდღიურად აძლიერებს მუშაობას.

განზორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ხუთწლედის მანძილზე ჩვენს სისტემაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა საერთო რაოდენობა 88 პროცენტამდე გაიზარდა.

მაგრამ ჯერ კიდევ საკმაო სიმაღლეზე არ დგას შინაგან საქმეთა მრავალი ორგანოს კადრების პროფესიული დონე. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ უბნის ინსპექტორები, რომელთა მოქმედებაზე ხშირად შემოდის მოქალაქეთა საჩივრები. მათ შორის ცოტაა იურისტი და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი.

საერთო საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა, რათა მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტი დასპეციალებულიყო სისხლის სამართლის სამძებროს ოპერატიული მუშაკების და უბნის ინსპექტორების მომზადებაზე, აგრეთვე შემდგომში აღნიშნული ფაკულტეტი გარდაქმნილიყო დამოუკიდებელ მილიციის უმაღლეს სკოლად.

სამინისტროს კოლეგიისა და პარტიული კომიტეტის სახელით აღვუთქვამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის კომუნისტების ფორუმის დელეგატებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლექტივი არ დაიშურებს ძალ-ღონეს, ენერგიასა და გამოცდილებას, რათა წარმატებით გადაწყვეტოს რესპუბლიკაში სოციალისტური მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების ამოცანები. (ტაში).

ამხ. ლ. გ. მოქვერაშვილის სიტყვა

(საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი)

ამხანაგებო! საქართველოს სტუდენტობა რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობას სწავლაში, შრომაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოპოვებული ახალი წარმატებებით შეეგება.

მადლობას ვუძღვნით მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ძვირფას ლენინად ილიას ძე ბრეჟნევს საბჭოთა სტუდენტობაზე ნამდვილი მამობრივი, ყოველდღიური ზრუნვისათვის. მისი შესანიშნავი წიგნები „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყმირი“ ჩვენთვის ცხოვრების სახელმძღვანელოები გახდა.

დიდი ყურადღებით მოვისმინეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა ახალგაზრდობის დიდმა მეგობარმა და დამრიგებელმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

ჩვენ ვიცით, რომ პარტიისათვის არა არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი და სერიოზული, ვიდრე ახალგაზრდა თაობის აღზრდის, ახალგაზრდობისათვის კომუნისტური შეგნების, კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ამოცანა.

უკანასკნელი წლების მანძილზე გამართულმა სტუდენტი ახალგაზრდობის ფორუმებმა დიდი გამოცოცხლება შეიტანა სტუდენტთა ცხოვრებაში. ყველაფერი, რაც რესპუბლიკის სტუდენტთა აქტივის პირველ კრებაზე ითქვა, საქართველოს სტუდენტობის მრავალთასიანი არმიის ცხოვრებისა და საქმიანობის წესი გახდა.

მარტო უკანასკნელ წელს ხუთასან და ოთხასან სტუდენტთა რიცხვი ჩვენს რესპუბლიკაში ხუთი ათასით გაიზარდა. 34 ათასზე მეტი მომავალი სპეციალისტი აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო წრეებში, ეწევა სხვადასხვა გამოკვლევას. შეიქმნა სტუდენტთა ათი სამეცნიერო გაერთიანება და საკონსტრუქტორო ბიურო.

საქართველოს სტუდენტთა საშენებლო რაზმების ისტორიას არ ახსოვს ისეთი მაღალი შრომითი ენთუზიაზმი, როგორიც იყო მეათე ხუთწლედში, რომლის წლების მანძილზე რესპუბლიკის 73 ათასზე მეტმა სტუდენტმა გაიარა ჩინებული ცხოვრებისეული სკოლა, შეასრულა 104 მილიონი მანეთის საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. ეს არის ჩვენი სტუდენტობის წვლილი ხუთწლედის ფონდში.

სტუდენტ ახალგაზრდობას, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მთელ მრავალთასიან კოლექტივს ბევრი რამ მისცა უმაღლეს სასწავლებელში ამხ. ე. ა. შევარდნაძის ამსწრნანდელმა სტუმრობამ. პროფესორთა, მასწავლებელთა, სტუდენტთა შორის მის მიერ გატარებულმა დღემ დასაბამი მისცა ბევრ საარგებლო საქმეს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის ზრუნვის წყალობით მალე გვექნება სტუდენტთა ჩინებული ქალაქი თანამედროვე საერთო საცხოვრებლებით, ვრცელი აუდიტორიებით, კეთილმოწყობილი სპორტული და გამაჯანსაღებელი ბაზებით.

მაგრამ ფრიადზე სწავლა, სტუდენტთა მონაწილეობა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, მათი რიგების რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა მარტო ციფრებით როდი ფასდება — ყოველი კონკრეტული ფაქტის მიღმა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა დგას: ახალგაზრდობის შრომითი აღზრდა, მის შეგნებაში მაღალი მორალურ-ზნეობრივი და მოქალაქეობრივი პრინციპების ჩანერგვა, ამ პრობლემის გადაწყვეტის დროს საჭირო ხდება ვუპასუხოთ კითხვას: განა ჩვენი საქმიანობის ყველა უბანზე იგრძნობა სტუდენტური ენთუზიაზმი? ჩვენი კოლექტივის თითოეული წევრი ვინაობირად გრძნობს თუ არა პასუხისმგებლობას საერთო საქმის წარმატებისათვის, საყოველთაო-სახალხო ამოცანების გადაწყვეტისათვის?

სამწუხაროდ, ჩვენ შორის ჯერ კიდევ არიან პასიური, ინერტული, გულგრილი ახალგაზრდები, ისეთები, ვინც მხოლოდ სიტყვით უჭერს მხარს საერთო საქმეს, თვითონ კი უღიმღამო ცხოვრებით ცხოვრობს. ასეთი ახალგაზრდების გააქტიურება კომუნისტურ სტუდენტთა ერთ-ერთი საბრძოლო ამოცანაა.

მე და ჩემს თანატოლებს — მეათე ხუთწლედის სტუდენტებს მალე დაგვწყება დამოუკიდებელი ცხოვრება.

სწრაფად გავიდა ხუთი წელი. დღეს, როცა გონების თვალს ვავლებ მშენებელი ინჟინრის სპეციალობის დასაუფლებად განვლილი ცხოვრების გზას, ვხედავ ჩემი ამხანაგების ახლის ძიებით, დაბრკოლებათა დაძლევის, ერთობლივი სწავლის, შრომისა და დასვენების ბედნიერი დღეებით აღსავსე სტუდენტურ ცხოვრებას. ვასრულებ რა მეხუთეკურსელი სტუდენტების თხოვნას, გავბედავ და თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან საკითხს.

ერთი მათგანია სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხი. ხშირად მთელ რიგ საგნებში სახელმძღვანელების მოცულობა უკუპროპორციულია იმ სალექციო საათებთან, რომლებიც მათს შესწავლას აქვს დათმობილი.

ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საკითხი. ჩვენი აზრით, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესი უნდა იწყებოდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის პირველი წლებიდანვე. ამასთან საშუალო სკოლას, შემდეგ — უმაღლეს სასწავლებელს აქტიურად უნდა ეხმაურებოდნენ სამინისტროების, უწყებების, ფაბრიკებისა და ქარხნების ხელმძღვანელები და წამყვანი სპეციალისტები.

კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. იგი ეხება არჩეულ სპეციალობათა მიხედვით მაპროფილებელი კადრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. სრულფასოვანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი რომ გახდე, ღრმად უნდა დაეუფლო მეცნიერების საფუძვლებს, გამომიშუშავო მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების ჩვევები. ყოველივე ეს დამოკიდებულია თანამედროვე აპარატურით სასწავლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების აღჭურვის დონეზე.

ყრილობისწინა დღეებში საფუძველი ეყრებოდა საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში“ ელექტრონული მანქანებისა და აპარატების კათედრის ფილიალსა და საპრობლემო ლაბორატორიას.

ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში დიდ დახმარებას გვიწევს საწარმოო გაერთიანება „საქნაგთობი“. იმედი გვაქვს, რომ ამ მაგალითს მიბაძავენ რესპუბლიკის სხვა დარგობრივი სამინისტროები და უწყებები.

კომუნისტთა ფორუმს აღვუთქვამთ, რომ საქართველოს სტუდენტები ყოველ ღონეს ვიხმართ, მთელ მიღებულ ცოდნას გამოვიყენებთ იმისათვის, რომ ღირსეულად გადავცეთ ჩვენი ხალხის შრომისა და გმირობის ესტაფეტა XXI საუკუნის ახალგაზრდობას. (ტაში).

ამხ. გ. შ. ორჯონიკიძის სიტყვა

(საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე)

ამხანაგებო! ის ფაქტი, რომ საქართველოს კომუნისტების ესოდენ მაღალი დონის ფორუმზე სავალდებულოდ მიიჩნიეს ჩვენი მუსიკალური კულტურის შესახებ სპეციალური გამოსვლა, მოწმობს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩვენი პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი კულტურის ამ დარგს. გვინდა აგრეთვე შეგახსენოთ, რომ მუსიკისადმი ყურადღების ნათელი გამოხატულებაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 21 მარტის დადგენილება, რომელმაც შემდგომი მუშაობის გეზი მოგვცა.

უკანასკნელი რვა წლის მანძილზე ჩვენ ვგრძნობდით ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერას ყველა წამოწყებაში. უფრო მეტიც, რჩევისა და დახმარებისათვის არაერთგზის მიგვიმართავს პირადად ამხანაგ ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძისათვის, და იგი ჩვენს თხოვნას ყოველთვის დიდი გულისყურით ეკიდებოდა.

ქართული მუსიკა იმსახურებს ასეთ ყურადღებას, მისი წარმატებები საამაყოა, და ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ბოლო ხუთი წლის მიღწევები. დღეს ქართული მუსიკა საბჭოთა კულტურის უმნიშვნელოვანესი დარგია, ჩვენი მუსიკა გასცდა ქვეყნის ფარგლებს, იგი ძღერს მსოფლიოს საუკეთესო საკონცერტო დარბაზებში, იბეჭდება და ვრცელდება მსოფლიოს საუკეთესო გამომცემლობების მიერ. მთელი ხუთწლედის მანძილზე კარგად იმუშავა კომპოზიტორების მთელმა კოლექტივმა, და განსაკუთრებით ოთარ თაქთაქიშვილმა, გია ყანჩელმა, სულხან ნასიძემ, რევაზ ლაღიძემ, სულხან ცინცაძემ, იოსებ კეკენაძემ, ვაჟა აზარაშვილმა. მათთან ერთად გაგვახარეს ჩვენმა შესანიშნავმა შემსრულებლებმაც — დირიჟორმა ჯანსუღ კახიძემ, მომღერლებმა მაყვალა ქასრაშვილმა, ზურაბ სოტკილავამ, ცისანა ტატიშვილმა, პიანისტებმა ელისო ვირსალაძემ და ლექსო თორაძემ, მევიოლინე ლიანა ისაკაძემ, ფოლკლორულმა კოლექტივებმა, სახელმწიფო სიმღერიანმა კვარტეტმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი დღევანდელი მიღწევები ჩვენი ხალხისა და პარტიის ყოველდღიური ყურადღებისა და მხარდაჭერის შედეგია, ყველა თაობის მუსიკოსთა დაძაბული შრომის, თანამშრომლობის, გამოცდილების გაზიარების ამოუწურავი ენთუზიაზმის ნაყოფია.

ჩვენს მუსიკალურ ხელოვნებაში წარმატებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწინდარია მისი მორალური პრინციპი — ემსახურებოდეს სიმართლეს, ეძიებდეს სილამაზეს ადამიანში და მის საქმეებში. ჩვენი მუსიკა ჩვენი თანამედროვეობის მაჯისცემაა, მისი სუნთქვა, მისი მისწრაფებაა, მისი წუხილი და სიხარული, იმედები და გმირული ყოველდღიურობაა. თავისი ადამიანური განუმეორებლობით და აღმშენებლობის წყურვილით. ჩვენი მუსიკის სიძლიერის წყაროა მისი თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმი, რომელსაც უბადლოდ შეასახა ხოტბა დიდმა რუსთაველმა და რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვი ჩვენი ხალხის ბუნებაში. თანამედროვე ქართული მუსიკის ინტერნაციონალიზმი თანამიმდევრულია, მე ვიტყოდი, შემტევი. იგი ვლინდება მის შინაარსსა და სახეში, მის უნარში შესძინოს ჰეშმარიტ ეროვნულს ზოგადსაკაცობრიო ღირებულება.

ჩვენ გვეამაყება აგრეთვე, რომ ახალი ქართული მუსიკის განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს მოსკოვისა და ლენინგრადის კონსერვატორიებმა, გამოჩენილმა კომპოზიტორებმა — ჩაიკოვსკიმ, რუბინშტეინმა, რახმანინოვმა, იპოლიტოვ-ივანოვმა; გვახარებს, რომ ჩვენი ცნობილი თანამედროვეები — პროკოფიევი და მიასკოვსკი, შოსტაკოვიჩი და ხაჩატურიანი ძმურ დახმარებას უწევდნენ თავიანთ ქართველ კოლეგებს. ვამაყობთ, რომ თანამედროვეობის უდიდესი კომპოზიტორი იგორ სტრავინსკი ქართულ ხალხურ სიმღერას მსოფლიო მუსიკალური კულტურის გასაოცარ ფენომენად მიიჩნევდა. გვეამაყება ისიც, რომ რუსული კლასიკური მუსიკის სახელოვან ინტერპრეტატორთა შორის ასახელებენ აგრეთვე ქართველ მუსიკოსებს. დაუვწყარია ქართული მუსიკის დღეები მოსკოვში 1978 წელს და ქართული მუსიკის წარმატება კომპოზიტორთა საკავშირო ყრილობაზე 1979 წელს. საგულისხმოა სიტყვები, რომლითაც ერთ-ერთმა აღელვებულმა მსმენელმა ქართველ კომპოზიტორს მიმართა: „თქვენნი მუსიკა ეროვნულია, მაგრამ დღეს იგი ჩემს სანუკვარ საიდუმლოებათა ენად იქცა, ჩაიხედა ჩემი სულის სიღრმეში“. განა ეს ხელოვნების უმაღლესი შეფასება არ არის? ინტერნაციონალური ძმობის სულისკვეთებითაა გამსჭვალული ამერიკაკავკასიის მუსიკოსთა შეხვედრები, ამას მოწმობს რუსული მუსიკის ფესტივალი საქართველოში 1976 წელს, იგივეს გვიდასტურებს ქართველ და აფხაზ მუსიკოსთა ერთობლივი ზეიმები, და განსაკუთრებით ბასული წლის 12 ნოემბერს თბილისში გამართული აფხაზური ხალხური მუსიკის კონცერტი.

დიახ, ქართული საბჭოთა მუსიკა ვითარდება აღმავალი გზით, მაგრამ გვაქვს ბევრი სიძნელეც, რომელთა დაძლევაზე დიდად არის დამოკიდებული მთელი ჩვენი კულტურის მომავალი. მაგალითად, ჩვენ ძალიან გვიშლის ხელს ვითარება: ეროვნული კულტურის შორის. მუსიკალური კულტურის ბედ-იღბალს წყვეტს მრავალი დაწესებულება: კულტურის სამინისტრო, კომპოზიტორთა კავშირი, ტელევიზია და რადიომაუწყებლობის კომიტეტი, განათლების სამინისტრო, ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოება, კინემატოგრაფისტთა კავშირი. ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაცია დამოუკიდებელია და ყოველი მათგანი წყვეტს საკითხებს მდგომარეობის საკუთარი შეფასების, თავისი გემოვნების, საქმისადმი დამოკიდებულების შესაბამისად. თანამედროვე ცხოვრება კი მოითხოვს, რომ დამყარდეს მტკიცე კავშირი ამ დაწესებულებებს შორის, რათა მათ მიაღწიონ თავიანთი მოქმედების კოორდინაციას. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ცენტრალური კომიტეტის მდივანთან შეიქმნას შესაბამისი „მუსიკის საბჭო“, რომელშიც ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან ერთად შევლენ კომპეტენტური მუსიკოსები, და რომელიც შეიმუშავებს მოქმედების განსაზღვრულ პროგრამას და პასუხს აგებს მისი შესრულებისათვის. რასაკვირველია, თუკი დაწესებულება დამოუკიდებელია, მას დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებაც უნდა ჰქონდეს — დამოუკიდებლობის არსი სწორედ ეს გახლავთ. მაგრამ რადგანაც ყველანი ერთ საქმეს ვემსახურებით, ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გვითვალისწინოთ არა ვიწროუწყებრივი, არამედ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები.

ასეთი საბჭო დაეხმარებოდა, მაგალითად, განათლების სამინისტროს თანამიმდევრულად დადაჟრა მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის სერიოზული პრობლემა.

ასეთი საბჭო რომ გვქონოდა, აუცილებლად ვურჩევდით არ ეჩვენებინათ ეკრანებზე ისეთი ძალრე ფილმები, როგორიც არის „გიული ჩოხელი“ და „მისი უმცროსი და“, ამის ნაცვლად შეექმნათ ფილმები ჩვენს უხუცეს კომპოზიტორებზე — ანდრია ბალანჩივაძის, შალვა მშველიძის, ანლეო შიუკაშვილის და სხვების შესახებ.

ჩვენი საბჭო ურჩევდა ტელევიზიას არ შეეძინა აპარატურა თავისი საესტრადო ორკესტრისათვის, თუნდაც იმიტომ, რომ სახსრების უკმარისობის გამო ჩვენ ბევრი მართლაც აუცილებელი რამ არ გაგვაჩნია. დღემდე ვერ შევძელით დაგვეკომპლექტებინა კარგი ინსტრუმენტებით საახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და თვით ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრიც.

ასეთი საბჭო რომ გვქონოდა, უფრო ეფექტიანად შეეგებრძოლებოდით (მაპატიეთ ასეთი გამოთქმისათვის) საესტრადო ანტიკულტურის გავრცელებას.

ეს, ამხანაგებო, რთული სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემაა და ჩვენ ზედმეტ გულუბრყვილობას გამოვიჩენდით, თუ მის გადაჭრას მოვლენათა თვითდინებას მივანდობდით. შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ ესტრადა ვრცელდება ბავშვთა მხატვრული აღზრდის სფეროშიც. ბავშვთა საესტრადო კოლექტივები ეს ანომალიაა, რომელიც ზიანს აყენებს მოსწავლეთა არა მარტო ესთეტიკურ, არამედ ეთიკურ აღზრდასაც. საესტრადო ჯგუფების მომრავლება იმდენად ნორჩი ტალანტების სიჭარბეს არ მოწმობს, რამდენადაც ზოგიერთი ავტორიტეტული დაწესებულების მესვეურთა კულტურის დაბალ დონეს და ბეცი მშობლების პატივმოყვარეობას, რომლებსაც სწყურიათ თავიანთი შვილები იხილონ ესტრადაზე და გაამგზავრონ შორეულ გასტროლებზე.

შეუწყნარებელია, რომ ცუდი ესტრადის პროპაგანდისტად ჩვენი ტელევიზიაც გვევლინება. აქ ვერ იქნა და ვერ შეექმნაინთ დამოუკიდებელი მუსიკალური ცენტრი, რომელსაც ეყოლება თაკარა სიმფონიური ორკესტრი, საგუნდო კაპელა, ექნება საოპერო სტუდია. უფრო მეტიც, მთელი ჩვენი მუსიკალური საზოგადოებრიობა შეშფოთებით შეხვდა ცნობას, რომ ერთადერთი სტუდია, რომელშიც სიმფონიურ ორკესტრს მეკადონეობა შეეძლო, საესტრადო კოლექტივს გადაეცა და ამიერიდან სიმფონიურმა ორკესტრმა სადღაც სხვა შენობაში უნდა იმუშაოს. „დროებითო“, გვპირდებიან, მაგრამ ყველამ კარგად იცის ასეთი ვადის პირობითობა. უეჭველია, სათანადო საბჭო ასეთ ესტრადომანიაზეც გამოთქვამდა თავის აზრს.

თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო ერთ საგულისხმო მოვლენას — ფოლკლორისადმი საზოგადოებრივი ინტერესის გაღვიძებასა და გაცხოველებას. მე ვიტყოდი, რომ ეს ფაქტორი მეათე ხუთწლედის მანძილზე ჩვენი კულტურული ცხოვრების განმასხვავებელ ნიშნად იქცა. ფოლკლორისადმი ინტერესის გაძლიერებას ხელი შეუწყო ბევრმა ორგანიზაციამ — ფილარმონიამ, რომელიც აწყობს ხალხური მუსიკის შესანიშნავ კონცერტებს, კომპოზიტორთა კავშირმა, რომელიც, თუკი პრიორიტეტზე ვილაპარაკებთ, ამ ძალზე მნიშვნელოვანი საქმის წამომწყებად მოგვეჩვენა, დიდი დახმარება გაუწია ამ მოძრაობას ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა. აქ მე გავაკრიტიკე ამ ორგანიზაციის მუსიკალური პროპაგანდის ზოგი ასპექტი, მაგრამ რა ვქნა, საჭიროდ მიმაჩნია ეს ტერმინამინის წინააღმდეგ ბრძოლა. ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი ენთუზიაზმი და მონდომება, რომელიც გამოიჩინეს ტელევიზიამ და რადიომ ხალხური პოეზიისა და მუსიკის პროპაგანდის საქმეში.

არსებითად კი, ხალხური შემოქმედებისა და ხალხური აზროვნებისადმი ინტერესის ზრდას გაწაპირობებს მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების კლიმატი, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის კურსი, შემოქმედებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროების ურთიერთგამსჭვალვა და ღრმა სინთეზი.

შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი ზნეობის წმიდათაწმიდა — ხალხთა შორის მეგობრობის იდეა — თითქოსდა ვიწრო, სპეციფიკურ სფეროში ვლინდება და სხვა ხალხთა შემოქმედებისადმი ჩვენს პატივისცემას გამოხატავს. შემთხვევითი როდია, რომ საქართველოში უკვე მოქმედებენ, და ხვალ მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება, მუსიკოსები კი ვაძლევთ ამ პირობას XXVI ყრილობას, ეგრეთ წოდებული ბავშვთა ინტერნაციონალური გუნდები, რომელთა თავისებურება მარტო ის კი არ არის, რომ ასეთ კოლექტივებში სხვადასხვა ეროვნების ბავშვები არიან გაერთიანებული, არამედ, ისიც, რომ მათი მუსიკალური აღზრდის საფუძველია სხვადასხვა ხალხის ფოლკლორის დაუფლება, ეს კი ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის შესანიშნავი საშუალებაა.

ჩვენი მუსიკა ჩვენი დროის პირიმშო და მშვენებაა. იგი იმ მზით არის გამთბარი, რომელიც მთელ ჩვენს საქმეებს უნათებს გზას. ეს ჩვენი ხალხისა და ლენინური პარტიის, როული და ძნელად სავალი, მაგრამ, ერთხელ და სამუდამოდ არჩეული და ერთადერთი, ღირსებისა და ბედნიერების გზაა. (ტაში).

ამხ. რ. დ. ჩხეიძის სიტყვა

(კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი)

ამხანაგებო! თანამედროვე ქართული კინემატოგრაფიის შემოქმედებითს სახეს განსაზღვრავს მაღალი იდეური და ხელოვნური დონე, თანამედროვის შინაგანი სამყაროსადმი დიდი ინტერესი, ახალი თემებისა და საინტერესო ხელოვნური გადაწყვეტების აქტიური ძიება. საბჭოთა და საზღვარგარეთელი მაყურებლების აღიარება დაიმსახურეს თენგიზ აბულაძის, ელდარ და გიორგი შენგელაიების, ნანა ჭკუიდელიძის, ოთარ იოსელიანის, მერაბ კოკოჩაშვილის, სოსო ჩხაიძის, ვახტანგ მიქელაძისა და ბევრი სხვა რეჟისორის ფილმებმა. ლანა ღოღობერიძის ახალ კინოსურათს „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. უნდა აღინიშნოს, რომ დიდი წარმატება ხვდა წილად ცენტრალური ტელევიზიის ეკრანებზე მრავალსერიიან სატელევიზიო მხატვრულ ფილმს „დათა თუთაშხია“, რომელიც რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ შექმნა გ. გაბაესკირიასთან ერთად. ამ კინოსურათებში თემის მნიშვნელობა შეხამებულია ზუსტად და ნიჭიერად ნატოვნ ფორმასთან და ეს უბრუნველყოფს მაყურებელთა თანაგრძნობასა და გაგებას.

მაგრამ არა მარტო ხელოვნის ნიჭი და ოსტატობა, არამედ უწინარეს ყოვლისა, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, მისი იდეური სიმწიფე განსაზღვრავს დღეს წარმატებას, ნაწარმოების საზოგადოებრივ რეზონანსს. კინოხელოვნებამ — პარტიის აქტიურმა თანაშემწემ — დროის, ისტორიის მოწოდებით უნდა გაუშუქოს ჩვეულებრივის არაჩვეულებრივობა, გვიჩვენოს შრომითი დღეების პოეზია, გაიაზროს ხალხის ყოფის დღევანდელი რეალობანი კომუნისტური პერსპექტივების მიხედვით. და ყოველივე ეს უნდა ხდებოდეს ადამიანის მეშვეობით, მართლად და ღრმად ვუჩვენებდეთ მის პიროვნებას, ვაშუქებდეთ მის განუმეორებლობას. რიცა აკვირდება ადამიანის ხასიათში ტიპურ ნიშნებს, შინაგანი განვითარების ხაზს, იკვლევს თანამედროვე გმირის ქცევის მოტივებს, ხელოვანი ყოველთვის შეიგნებს ხოლმე ეპოქის ტენდენციებს, ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა, ეს ერთ-ერთი ფასეულობა, ეს ერთ-ერთი ფასეულობა, ეს ერთ-ერთი ფასეულობა.

ჩვენ ბევრ ნიჭიერ ადამიანს ვიცნობ, ბევრ ინტერესულ ადამიანს ვიცნობ, ბევრ ინტერესულ ადამიანს ვიცნობ, ბევრ ინტერესულ